ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ახალი უნივერსიტეტი

30 აპრილი, ოთხშაბათი, 2014 წ., №6

ტარიელ ზარანდია:

პროექტის მასშტაბურობის გამო ვგეგმავთ სექტემბრისთვის მისი მცირე მოდელი ავამოქმედოთ, ანუ ცხელი ხაზი ჩაირთვება, მაგრამ დასაწყისისთვის მხოლოდ იმ დეპარტამენტების ნომრები მიებმება, რომლებიც სტუდენტებს მომსახურებას უწევენ.

დემეტრე ეგნატაშვილი:

სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყო, თუმცა არჩევნებში მონაწილეობის სურვილი ჯერ არცერთ კანდიდატს არ გამოუთქვამს.

სამეცნიერო ფორუმი 2014

გამოვლინდნენ წლის საუკეთესო მეცნიერ-მომხსენებლები

მე-7-10 გვერდზე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 23-25 აპრილს ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ფორუმი გაიმართა. ფორუმზე უნივერსიტეტის პროფესორებმა და სამივე საფეხურის სტუდენტებმა საფაკულტეტო კომისიების მიერ შერჩეული საუკეთესო მოხსენებები წაიკითხეს.

ფორუმის ჩატარების შესახებ უნივერსიტეტმა გადაწყვეტილება გასულ წელს მიიღო. ის ყოველწლიურად ჩატარდება და მასზე თითო ფაკულტეტიდან წარმოდგენილი იქნება თითო გამარჯვებული ნაშრომი. ფორუმში მონაწილე მოხსენებების ავტორებს გადაეცემათ სერტიფიკატი და წამახალისებელი ფულადი ჯილდო: პროფესორებს 5 000 ლარი, დოქტორანტებს 1500 ლარი, მაგისტრანტებს 1000 ლარი, ხოლო ბაკალავრიატის სტუდენტებს 500 ლარის ოდენობით.

წლევანდელ ფორუმზე წარდგენილი იყო 24 მოხსენება.

რომან შაქარიშვილი:

ჩვენს ასოციაციას დაწესებული აქვს პეტრე სარაჯიშვილის სახელობის პრემია და ვაპირებთ ამ პრემიების გაცემას ნეირომეცნიერების დარგში წარჩინებული მოღვაწეობისათვის

მე-11 გვერდზე

გადაცემა ყველა უნივერსიტეტელისთვის

უყურეთ შაბათს, 10 მაისს, 17 საათზე

საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის ეთერში გადაცემას

„უნივერსიტეტი“

ქრონიკა

გვ. 14

გერმანელმა ქართველოლოგმა საკუთარი პრემია ქართველოლოგიის განვითარებისთვის გაიღო

ნომერში

ჰუმანიტარებს მეორე ვადით არჩეული დეკანი ჰყავთ 2

არჩევნებში მონაწილეობის სურვილი ჯერ არცერთ კანდიდატს არ გამოუთქვამს! 3

„ცხელი ხაზი“ თსუ-ში სექტემბრიდან ამოქმედდება 3

გაიზარდა თუ არა სადოქტორო ნაშრომების ხარისხი? 4

სტუდენტ-არქეოლოგთა კონფერენცია ვარძიაში 12

კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტში 13

პროფესორი და საზოგადო მოღვაწე — ნათელა ქუთელია 15

ჰუმანიტარებს მეორე ვადით არჩეული დეკანი ჰყავთ

25 აპრილს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა 29 ხმით (31-დან) დეკანის თანამდებობაზე პროფესორი დარეჯან თვალთვაძე აირჩია.

მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი დარეჯანი ფაკულტეტს რამდენიმე წელი ედგა სათავეში, მისი საარჩევნო პროგრამა ბევრ სიახლეს მოიცავს, რისი განხორციელებისთვისაც პირველი ნაბიჯების გადადგმა უკვე დაიწყო.

რა მიზანს ისახავს დეკანი და როგორ აპირებს იგი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარებას მომავალში — ეს გახლდათ საუბრის თემა, რომელიც ქალბატონი დარეჯანის არჩევიდან პირველივე სამუშაო დღეს დაიწყო.

მაია ტორაძე

— ქალბატონო დარეჯან, რა კონკრეტული პუნქტები გქონდათ საარჩევნო პროგრამაში, რა სიახლეებს უნდა ველოდოთ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე უახლოეს მომავალში?

— ჩემი კონცეფცია, რომელიც წინასაარჩევნოდ წარვუდგინე ფაკულტეტის საბჭოს წევრებს, საკმაოდ ვრცელი დოკუმენტია, რომელიც სამი კომპონენტისგან შედგება: ფაკულტეტზე ამჟამად არსებული სიტუაციის ანალიზი, სტრატეგიული მიზნები, რომელიც ფაკულტეტს უკვე ჩამოყალიბებული აქვს და სამომავლო ხედვა — როგორ შეიძლება შევასრულოთ ფაკულტეტზე დაკისრებული მისია.

რაც შეეხება პირველ კომპონენტს — ფაკულტეტზე არსებული მდგომარეობის ანალიზს, უნდა ვთქვათ, რომ ნოლიდან არ გვიხდება დაწყება. ჩვენი ფაკულტეტი საკმაოდ დინამიკურად განვითარებადი ფაკულტეტია, კარგი ტრადიციებით და რესურსებით (ვგულისხმობ, როგორც ადამიანურ რესურსებს, ასევე, მატერიალ-ტექნიკურ ბაზას). ვფიქრობთ, რომ ამ ეტაპზე ჩვენ გვაქვს ის ბაზა, რომლითაც შესაძლებელია მივაღწიოთ მთავარ სტრატეგიულ მიზანს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი იყოს ლიდერი სამეცნიერო კვლევებში არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ამისთვის საჭიროა რამდენიმე მიმართულებით მუშაობა, რაც ასევე ჩადებულია კონცეფციაში. პირველ რიგში, ესაა სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზება, კვლევა, საერთაშორისო ურთიერთობების გააქტიურება და რაც შეიძლება მეტი ინტეგრაცია საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში, რომ ბევრი რამ ვისწავლოთ და ჩვენი კვლევებიც გავიტანოთ ქვეყნის გარეთ, განსაკუთრებით ისეთ პრიორიტეტულ დარგებში, როგორიცაა ქართველოლოგია, კავკასიოლოგია და სხვა.

ჩემს კონცეფციაში ასევე განსაკუთრებით არის ხაზგასმული, რომ სასწავლო პროგრამები ჩამოყალიბებული და მოდერნიზებული იყოს კურსდამთავრებულების შრომით ბაზარზე დამკვიდრებისთვის. ამ თვალსაზრისით, სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენთვის დასაქმების ყველაზე დიდი ბაზარი არის სკოლა. ამიტომაც, მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ, ერთი მხრივ, არსებული კანონმდებლობის ფარგლებში და, მეორე მხრივ, კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის ინიციატივის მომზადებით, რომ ჩვენს კურსდამთავრებულებს შეეძლოთ მასწავლებლის კვალიფიკაციის მინიჭების შემთხვევაში მუშაობის დაწყება. ეს არ არის ჩვენი გადასაწყვეტი, ამისთვის კანონმდებლობაში ბევრი ცვლილებაა შესატანი, მაგრამ შევეცდებით, რომ სასწავლო პროგრამები ისე აეწყოს დარგობრივ პროგრამებში, ვთქვათ, ისტორიაში, ქართულში, უცხო ენებში (ანუ იმ საგნებში, რაც სკოლებში ისწავლება), რომ სტუდენტს შევძინოთ არა მხოლოდ დარგის სწავლების თეორიული საფუძვლები, არამედ მისი პრაქტიკულად გამოყენების უნარ-ჩვევებიც.

რაც შეეხება სამეცნიერო კვლევებს, ჩვენი ფაკულტეტი ნამდვილად არ არის წარუმატებელი, თუმცა გვინდა უფრო მეტად კონცენტრირებული ვიყოთ აქტუალურ და ჩვენი ქვეყნისთვის საჭირო პრობლემებზე. ცხადია, აქ ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება დაფინანსებას, რაზეც აქამდეც ვმუშაობდით და მომავალშიც ვიმუშავებთ. მეტად გამახვილდება ყურადღება სტუდენტების, განსაკუთრებით დოქტორანტების, სამეცნიერო მუშაობის გააქტიურებაზე, რათა მათ ხელი შევუწყოთ მეცნიერების მიმართ უფრო ფართო და მასშტაბური ინტერესის გამოვლენაში.

რასაკვირველია, პროგრამაში დევს პროფესორ-მასწავლებლებისა და ფაკულტეტის თანამშრომელთა ხელშეწყობაც. ეს ეხება მმართველობითი სტრუქტურების შემდგომ სრულყოფას და სოციალურ და საკადრო პოლიტიკაზე ზრუნვას. ცხადია, ვიზრუნებთ პროფესორთა შრომითი ანაზღაურების სისტემის მოწესრიგებაზე და ვეცდებით, ამ თვალსაზრისით უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული მოდერნიზაციის სამუშაო ჯგუფის შემოთავაზებების ნაწილი გავითვალისწინოთ. თუმცა ეს არ არის ის პროცესი, რომელსაც დღეს დაიწყებ და ხვალ დაამთავრებ, ამიტომ ამ მხრივ მუშაობა გაგრძელდება.

— სწორედ აკადემიური და ადმინისტრაციული მოდერნიზაციის ჯგუფის მიერ წარმოდგენილ ანალიზში იყო გამოთქმული ვარაუდი, რომ უნივერსიტეტში ხელფასების ზრდის ერთერთი პერსპექტივა მოწვეული სპეციალისტების რაოდენობის განახევრებაა. არადა, თქვენს ფაკულტეტზე მოწვეულ სპეციალისტთა ყველაზე დიდი რაოდენობაა... როგორ აპირებთ ამ პრობლემის მოგვარებას?

— სულ არ მიკვირს, რომ ეს ასეა. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, ის გამიკვირდებოდა, რადგან, ვინც ასე თუ ისე იცნობს ჩვენი ფაკულტეტის სპეციფიკას, აუცილებლად მიხვდება, რა იწვევს მოწვეული სპეციალისტების რაოდენობის ზრდას. ჩვენ არ ვართ მონოდარგული ფაკულტეტი, ჩვენ ვაერთიანებთ ყოფილი 6 ფაკულტეტის 32 საბაკალავრო პროგრამას და აქ ლექციების წაკითხვაც სხვა სპეციფიკით ხდება. შესაძლოა, ჰქვია პროგრამას ფილოლოგია, მაგრამ სხვაა ქართული ფილოლოგია, სხვაა — ინგლისური, გერმანული, არაბული, სკანდინავიური ფილოლოგია. ამ ეტაპზე 11 ასეთი პროგრამა მუშაობს ჩვენთან. მათ ყველას თავისი ვიწრო სპეციფიკური ცოდნის ადამიანი სჭირდება, ამიტომ ისინი ან შტატში უნდა გყავდეს, ან უნდა მოიწვიო. ვთქვათ, ვინც ასწავლის შუმერულ ენას, ვერ შეასწავლის უბიხურ ენას. კავკასიოლოგიის მიმართულებაზე, სადაც მთის რამდენიმე ენა ისწავლება (მათი რაოდენობა, მოგეხსენებათ, რამდენიმე ათეულია) ერთი ადამიანი შეუძლებელია იყოს რამდენიმე ენის ისეთი მცოდნე, რომ მან ეს ცოდნა სტუდენტებს გადასცეს. ამიტომაც ჩვენ გვყავს ძირითადი დარგების და საგნების პროფესორები და გვყავს მოწვეული სპეციალისტები, რომლებიც რომელიმე კონკრეტულ სემესტრში, კონკრეტულ კურსს კითხულობენ. საგნების რაოდენობა, მარტო ბაკალავრიატში ყოველ სემესტრში 400-ზე მეტია და ამდენი საგნის მომსახურებისთვის სპეციალისტების მოწვევა გვჭირდება.

— თქვენ ფიქრობთ, რომ მათი რაოდენობის შემცირების საშუალება არ არსებობს?

— ვერ გეტყვით, რომ შემცირება იმ დონით იქნება შესაძლებელი, რაც მოდერნიზაციის ჯგუფის მიერ შემუშავებულ დოკუმენტშია ჩაწერილი. იგი ვერ განახევრდება. საერთოდ კი, მე არ მიმაჩნია, მოწვეულების რაოდენობის განახევრება იმ რესურსად, რომლითაც შეიძლება შეიცვალოს და ამაღლდეს პროფესორის ხელფასი. ჩვენი ფაკულტეტის ბაზაზე ეს ასეთი ცალსახა არ არის. ამის შესახებ ჯგუფის სხდომაზეც განვაცხადე. ჩვენ ყოველთვის დაგვჭირდება იმ სპეციალისტების მხარდაჭერა, რომლებიც არ არიან ჩვენი პროფესორები, მაგრამ თავის დარგში ძალიან კვალიფიციური ადამიანები არიან.

— რაც შეეხება საერთაშორისო სამეცნიერო რეცენზირებად ჟურნალებს, თქვენი ფაკულტეტი ერთერთია, რომელმაც განაცხადა, რომ მის მიერ გამოცემული სამეცნიერო ჟურნალები მოხვდება Google Scholar-ის ჩამონათვალში. რა იგეგმება ამ კუთხით?

— ჩვენ გვაქვს რამდენიმე საერთაშორისო რეცენზირებადი ჟურნალი. ეს ჟურნალები გამოდის ინგლისურ და ქართულ ენაზე ელექტრონული სახით. რათა ისინი თქვენ მიერ ნახსენებ ჩამონათვალში მოხვდეს, საჭიროა რამდენიმე ეტაპის გავლა: უნდა წარვადგინოთ საჭირო დოკუმენტაცია და დავარწმუნოთ ის ადამიანები, ვისაც ჟურნალების ამ ჩამონათვალში შეტანა ევალებათ, რომ თითოეული მათგანი მაღალი დონის სამეცნიერო ჟურნალია.

ვფიქრობთ, პირველი იქნება ალბათ ჟურნალი „ქართველოლოგი“, რომელიც ასევე ორენოვანია, ხოლო შემდეგი ჟურნალი — „სპეკალი“. ყველა სტატია, რომელიც ამ ჟურნალებში იბეჭდება, გადის რეცენზირებას ერთი ქართველი და ერთი უცხოელი ანონიმი ექსპერტის მიერ და ეს ხარისხის გარანტიას იძლევა.

— დღეს თქვენი პირველი სამუშაო დღ–ეა ახალ საარჩევნო პერიოდში, რით დაიწყებთ მუშაობას?

— პირველი სერიოზული საქმე, რაზეც დღესვე ვიწყებ მუშაობას, ეს არის ფაკულტეტის ახალი დებულების შემუშავება. მასზე აქამდეც ვმუშაობდით, მაგრამ უნივერსიტეტის სტატუსის ცვალებადობის გამო მცირე ხნით შევაჩერეთ.

ასევე იგეგმება სტრუქტურული ცვლილებები, რის შემდეგაც მკაფიოდ იქნება გაწერილი იმ ერთეულების უფლება-მოვალეობები, რაც ფაკულტეტის შიგნით არსებობს.

შემდგომი საკითხები, რაც მეტად საშურია და რაზეც უკვე ვიწყებთ მუშაობას, ისევ საკანონმდებლო ბაზას ეხება — ვფიქრობთ, მოვამზადებთ დოკუმენტს, რომელიც სასწავლო პროგრამაში პედაგოგიური ნაწილის გაძლიერებას და გააქტიურებას შეუწყობს ხელს. ასევე ვმუშაობთ ორენოვანი სასწავლო პროგრამების რაოდენობის გაზრდაზე, ელექტრონული სწავლების გააქტიურებაზე და რამდენიმე ახალი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის გახსნაზე, რისი იმპლიმენტაციაც მომავალი სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა მოხდეს.

გზავნილი ადმინისტრაციას

რექტორთან შეხვედრის შემთხვევაში რა საკითხს წამოწევთ?

დემურ ჯალაღონია,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის მიმართულების პროფესორი:

— 2006 წლამდე ფილოსოფიის ზოგადი კურსი თსუ-ში ყველა ფაკულტეტზე იკითხებოდა. განათლებისა და მეცნიერების სფეროში განხორციელებული რეფორმის შედეგად სასწავლო პროგრამიდან ფილოსოფიის კურსი ამოიღეს. კარგი იქნება, თსუ-ის ყველა სპეციალობაზე შემოვიღოთ ფილოსოფიის შესავლის სწავლება. ფილოსოფია, როგორც მსოფლმხედველობა და მეცნიერება, თავისი უზოგადესი კანონებითა და კატეგორიებით, მეცნიერების მეთოდოლოგიური საფუძველია. ბუნებრივია, ფილოსოფია ნებისმიერი მეცნიერებისათვის განსაკუთრებით საჭირო დარგია, რათა სტუდენტმა-ახალგაზრდობამ შეძლოს სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, საბუნებისმეტყველო მოვლენებისა და პროცესების არსის სიღრმისეული წვდომა, ლოგიკურ-ანალიტიკური აზროვნება, სწორი დასკვნების გაკეთება. ასევე, ფილოსოფია სტუდენტებს აუმაღლებს აზროვნების ზოგად კულტურას, ჩამოუყალიბებთ კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევებს.

ჩვენს უნივერსიტეტს საკმაოდ დიდი რაოდენობის დოქტორანტი ჰყავს. ეს გახლავთ ჩვენი შემცვლელი თაობა. მაგრამ არის საშიშროება იმისა, რომ უნივერსიტეტს მათი შენარჩუნება გაუჭირდება, რადგან ბევრი მათგანი დასაქმებულია უნივერსიტეტის გარეთ, სხვადასხვა ინსტიტუციებში (საკმაოდ მაღალი ანაზღაურებით). როგორ შევძლოთ მათი მობრუნება? თანაც მხოლოდ ერთეულებს აქვთ შესაძლებლობა დარჩნენ უნივერსიტეტში.

ქეთევან ხუციშვილი,
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბოლო დროს მიმდინარე პროცესებით, ზოგადად, კმაყოფილი ვარ. თვალსაჩინოა, რომ სხვადასხვა მიმართულებით უკეთესობისკენ საკმაოდ ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა, სურვილები კვლავ გვრჩება და უკეთეს მომავალზე ვფიქრობთ. პირველ რიგში, ჩემი აზრით, გადასაჭრელია პრაქტიკული საჭირბოროტო საკითხები, რაც სტუდენტებსაც ეხებათ და პროფესორ-მასწავლებლებსაც — ეს გახლავთ ბიბლიოთეკის პრობლემა. ბიბლიოთეკები ფიზიკურად დღესაც ინსტიტუტების ოთახებშია განთავსებული, მაგრამ არ არის დაკავშირებული ცენტრალური ბიბლიოთეკის წიგნსაცავთან. ამიტომ პრობლემატურია ჩართვა სასწავლო პროგრამებში. აღბათ ამ მიმართულებით საჭიროა დაფიქრება, თუ როგორ შეიძლება მოხდეს მათი ინტეგრაცია საერთო ფონდთან.

ბევრია გასაკეთებელი ტექნიკური აღჭურვილობის თვალსაზრისითაც. დღეს უკვე თანამედროვე ტექნოლოგიებს ყველანი ვიყენებთ, მათ შორის, ჰუმანიტარებიც. სამწუხაროდ, ჩვენი სააუდიტორიო ოთახები არ არის აღჭურვილი სათანადო ტექნიკით, რაც პრობლემებს გვიქმნის მუშაობის პროცესში. იმედია, თანდათან ეს პრობლემაც დადებითად გადაიჭრება. ბოლომდე არ არის მოგვარებული თსუ-ის ვებ-გვერდის საკითხი, თუმცა, წინსვლა ამ მიმართულებითაც შეიმჩნევა.

ამასთან, მინდა აღვნიშნო, რომ დადებითად შევხვდი წიგნის მაღაზიის გახსნას, რადგან მნიშვნელოვანია, რომ თსუ-ს ჰქონდეს თავისი მაღაზია, სადაც წიგნებთან ერთად გაიყიდება უნივერსიტეტის სიმბოლიკის მატარებელი ნივთები.

მთავარია, რომ განვითარების პროცესი შესამჩნევია და იმედია, ნელ-ნელა ყველა პრობლემა მოგვარდება.

მოამზადა
შურთხია გეროშვილმა

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲯᲔᲠ ᲐᲠᲪᲔᲠᲗ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲣᲗᲥᲕᲐᲛᲡ!

16 ᲛᲐᲘᲡᲡ ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია უკვე დაკომპლექტებულია. კანდიდატთა რეგისტრაციის პროცესი 26 აპრილს დაიწყო და 10 დღის განმავლობაში გაგრძელდება. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები, სტუდენტური თვითმმართველობის დებულების მიხედვით, მოქმედი თვითმმართველობის პრეზიდენტმა შეარჩია. კომისიამ თავმჯდომარედ იურიდიული ფაკულტეტის დეკანის თანაშემწე, დოქტორანტი დემეტრე ეგნატაშვილი აირჩია. რაც შეეხება დანარჩენ წევრებს, სამი მათგანი უნივერსიტეტის, სამიც – არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელია. კომისიის შემადგენლობა ასეთია: ვალერი არღუთაშვილი (თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი), მარიამ გოგოლაძე (თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამის IX სემესტრის სტუდენტი), გვანცა ხასია (თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი), ანდრია ნადირაძე („საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანალიტიკოსი/იურისტი), ნაზიბროლა რამიშვილი (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების დეპარტამენტის სტაჟიორი) და ნანა ქურდოვანიძე („საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურიდიული დახმარების ცენტრის დირექტორი).

რაც შეეხება სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მსურველებს, ამ დრომდე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაცია არცერთ დამოუკიდებელ კანდიდატსა და არცერთ სტუდენტურ ორგანიზაციას არ გაუვლია.

2014 წლის თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების მომზადების დეტალებზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ᲓᲔᲛᲔᲢᲠᲔ ᲔᲒᲜᲐᲢᲐᲨᲕᲘᲚᲡ *ვესაუბრეთ.*

— ყოველთვის მიიჩნეოდა, რომ სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები მიკერძოებულად ტარდებოდა. შესაბამისად, კომისიაში მოწვეულები არიან ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი.

— ***კომისიამ უკვე განსაზღვრა საპროცესო ვადები?***

— სტუდენტური თვითმმართველობის კანდიდატების რეგისტრაცია 26 აპრილს დაიწყო და 10 დღის განმავლობაში გაგრძელდება. რეგისტრაცია ორი პრინციპით არის შესაძლებელი — ინდივიდუალური და ორგანიზაციული. მოთხოვნები განსხვავებულია. პიროვნება დამოუკიდებელ კანდიდატად რომ დარეგისტრირდეს, უნდა წარმოადგინოს მისი ფაკულტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების 2%-ის ხელმოწერა. ორგანიზაციებს კი 30%-ის ხელმოწერის წარმოდგენა მოეთხოვებათ. აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების სიას თსუ-ის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტი მოგვაწვდის, რომელიც განსაზღვრულ დროს გამოქვეყნდება.

— ***რამდენია სტუდენტური თვითმმართველობის წევრობის კვოტა თითოეულ ფაკულტეტზე?***

— როგორც წესი ეს განისაზღვრება ფაკულტეტებზე სტუდენტების რაოდენობის მიხედვით და 7-დან 20 სტუდენტამდე მერყეობს.

— ***როდის დაკომპლექტდება საუბნო საარჩევნო კომისიები?***

— ამ კომისიების დაკომპლექტების ვადად განსაზღვრულია კანდიდატთა რეგისტრაციის დასრულებიდან 2 დღე. თითოეულ ფაკულტეტზე ორ-ორი უბანი გაიხსნება, გარდა მედიცინის ფაკულტეტისა და ტურიზმის საერთაშორისო სკოლისა, სადაც თითო-თითო უბანი იმუშავებს. საუბნო საარჩევნო წევრების რაოდენობა უნდა იყოს არაუმცირეს 5-ისა და არაუმეტეს — 11-ისა. წევრების ნომინირება ცესკოს კომპეტენციაა და შევეცდებით, ავირჩიოთ ისეთი ადამიანები, რომლებიც არ ასოცირდებიან რომელიმე კონკრეტული ინტერესების მქონე ჯგუფთან და სარგებლობენ დადებითი რეპუტაციით.

— ***შესაბამისი უნარ-ჩვევების შესაძენად გეგმავთ თუ არა მათთვის ტრენინგების ჩატარებას?***

— კიდევ ერთი მოთხოვნა, რომელიც საუბნო საარჩევნო წევრის მიმართ არის წაყენებული — ორგანიზებულობა და მოწესრიგებულობაა. რაც შეეხება სხვა საკითხებს, რა თქმა უნდა, ჩავუტარებთ შესაბამისს ტრენინგებს და სათანადოდ მოვამზადებთ.

— ***რაც შეეხება დამკვირვებლების საკითხს...***

— დამკვირვებლების რეგისტრაციისთვისაც ვადები განსაზღვრული გვაქვს. ვგეგმავთ, რომ მოვიწვიოთ საქართველოში პოპულარული სადამკვირვებლო ორგანიზაციები, რომლებიც ტრადიციულად მოქმედებენ ქართულ საარჩევნო სივრცეში. წინასწარი მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს და ვფიქრობთ, საკმაოდ ბევრი ორგანიზაცია იქნება წარმოდგენილი. გარდა ამისა, საარჩევნო უბნებზე ვიდეო-კამერები დამონტაჟდება. შესაბამისად, თავიდანვე გამოირიცხება ყოველგვარი გაურკვევლობა და, თუ რაიმე მოხდება, მიზეზის დადგენისა და პრობლემის აღმოფხვრის საშუალება გვექნება.

ჩვენი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის, მთავარი გზავნილი შემდეგია: გვინდა, რომ ყველას, ვინც დაინტერესებულია სტუდენტურ თვითმმართველობაში აქტივობით, მიეცეს დარეგისტრირებისა და კენჭისყრის პროცესში მონაწილეობის საშუალება. ასევე გვინდა, ზოგადად, თვითმმართველობის თემას პროპაგანდა გავუწიოთ. ჯერჯერობით კანონმდებლობაში სტუდენტური თვითმმართველობის საკითხი მოწესრიგებული არ არის. „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონი გვეუბნება, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას სტუდენტური თვითმმართველობა უნივერსიტეტის მენეჯმენტში სტუდენტების ჩართულობისთვის სჭირდება. ამას იმეორებს თსუ-ის წესდებაც. ვფიქრობთ, რომ სტუდენტური თვითმმართველობის კონცეფცია დასახვეწია და იგი აუცილებლად დაიხვეწება მას შემდეგ, რაც ახალი თვითმმართველობა შეიქმნება. შესაბამისად, გვინდა არჩევნებში ყველა დაინტერესებული მხარე ჩაერთოს, რადგან ეს პროცესი სტუდენტებისთვის და სტუდენტების მიერ უნდა იყოს წარმართული. თვითმმართველობის საქმიანობამ სტუდენტურ ცხოვრებას დამატებითი ფერებიც უნდა შესძინოს და არა მხოლოდ კულტურისა და სპორტის მიმართულებით. ამისათვის უნივერსიტეტს სპეციალური დეპარტამენტი აქვს, რომელიც ნაყოფიერად მუშაობს. ფუნქციების დუბლირებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

— ***ამ დროისთვის გაქვთ ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე კანდიდატების შესახებ?***

— ჯერჯერობით ინფორმაცია არ გვაქვს. რეგისტრაცია დაიწყო, თუმცა არჩევნებში მონაწილეობის სურვილი ჯერ არცერთ კანდიდატს არ გამოუთქვამს.

მოამზადა **ᲜᲐᲢᲝ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ**

„ᲪᲮᲔᲚᲘ ᲮᲐᲖᲘ“ ᲗᲡᲣ-ᲨᲘ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲓᲔᲑᲐ

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ

„მოსახერხებელი და კომფორტული იქნება“, — ასე აფასებენ თსუ-ის II კორპუსის წინ შეკრებილი სტუდენტები თსუ-ში ცხელი ხაზის ამოქმედებას. ამ დროისთვის ვითარება ასეთია — ყველა ადმინისტრაციულ დეპარტამენტს საკუთარი ტელეფონის ნომერი აქვს. შესაბამისად, სტუდენტს თუ რაიმე საკითხის ტელეფონით გარკვევა სურს, საჭირო დეპარტამენტის ნომერი უნდა გაიგოს. მიუხედავად იმისა, რომ თსუ-ის ვებ-გვერდზე თითოეულ დეპარტამენტს საკონტაქტო ინფორმაცია მითითებული აქვს, არის შემთხვევები, როდესაც სტუდენტები ნომრის გასაგებად საინფორმაციო ცენტრ 09-ს უკავშირდებიან, 09-დან კი ინფორმაციისთვის თსუ-ის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტში რეკავენ (რადგან თსუ-ის ვებ-გვერდზე სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის ნომერს მითითებული აქვს სტატუსი — ცხელი ხაზი), ხოლო მოძიებულ ინფორმაციას 09 სტუდენტებს აწვდის და ა.შ.

„ასეთი ბევრი შემთხვევა გვქონია, როდესაც საინფორმაციო ცენტრ 09-დან გვიკავშირდებიან. ზოგადად, სტუდენტებისგან დიდი რაოდენობით ზარები შემოდის, განსაკუთრებით სემესტრის დასაწყისში ან სემესტრის დასასრულს. რეკავენ ნებისმიერ საკითხზე: არ აქვს მნიშვნელობა — ეხება ეს სასწავლო დეპარტამენტს თუ არა. თსუ-ში ცხელი ხაზის ამოქმედება ჩვენს მუშაობასაც და სასწავლო პროცესს უფრო კომფორტულს გახდის“, — გვითხრა თსუ-ის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის მთავარმა სპეციალისტმა უჩა ოშხნელმა.

თსუ-ში ცხელი ხაზის ამოქმედების ინიციატივა რექტორს ვლადიმერ პაპავას ეკუთვნის. საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტმა პროექტზე მუშაობა უკვე დაიწყო. იგეგმება უნივერსიტეტის IP სატელეფონო სისტემაზე გადაყვანა და შიდა ქსელის მოწესრიგება. თსუ-ის ერთი კონკრეტული შემომავალი ნომერი ექნება, რომელზე დარეკვის შემდეგაც, ოპერატორის საშუალებით, ზარი შესაბამის დეპარტამენტში გადამისამართდება.

„ეს შესაძლებლობას მოგვცემს, რომ ნომრების მომსახურების თანხები დავზოგოთ, რაც საკმაოდ დიდი რაოდენობისაა. ასევე, შემოსულ ზარებზე მონიტორინგის განხორციელების საშუალება გვექნება. ეს საკმაოდ დიდი პროექტია და ამიტომ ინფრასტრუქტურის გამართვას საჭიროებს. პროექტის მასშტაბურობის გამო ვგეგმავთ სექტემბრისთვის მისი მცირე მოდელი ავამოქმედოთ, ანუ ცხელი ხაზი ჩაირთვება, მაგრამ დასაწყისისთვის მხოლოდ იმ დეპარტამენტების ნომრები მიებმება, რომლებიც სტუდენტებს მომსახურებას უწევენ. ეს იქნება პროექტის ერთგვარი სატესტო რეჟიმი და, მომსახურების კონტროლის თვალსაზრისით, არსებულ პრობლემასაც მოაგვარებს“, — განაცხადა თსუ-ის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ტარიელ ზარანდიამ.

საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტში ვარაუდობენ, რომ ცხელი ხაზის პროექტის სრულად ამოქმედებას უკვე მომავალი წლიდან შეძლებენ, რაც ერთიან სატელეფონო ქსელში თსუ-ში მოქმედ ყველა ნომრის ჩართვას და რამდენიმე ზარის ერთდროულად მიღებასაც გულისხმობს. პროექტის მთავარი მიზანია, სტუდენტების კომფორტული მომსახურება უზრუნველყოს და ისეთი შემთხვევები გამორიცხოს, როგორიცაა „09 – თსუ — 09“ წრეზე ტრიალი და ა.შ.

აქტუალური

გაიზარდა თუ არა სადოქტორო ნაშრომების ხარისხი?

ქვეყნები, რომლებიც ეკონომიკური აღმასვლით გამოირჩევიან, ბოლო წლებში თავიანთ პრიორიტეტად ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნას ასახელებენ. ამგ ზისკენ ერთერთი პირველი ნაბიჯია სადოქტორო განათლების განვითარება, რადგან დოქტორანტურა სწორედ ის საფეხურია, სადაც ახალი ცოდნა, ინოვაციები იქმნება.

მაგალითად, ბრაზილიამ ბოლო წლებში დოქტორანტების რაოდენობა 100%-ით გაზარდა, ხოლო ჩინეთმა 400%-ით. ცხადია, ეს არ იყო რაოდენობის მექანიკური ზრდა. მას თან ახლდა შესაბამისი დაფინანსებაც. ითვლება, რომ სადოქტორო კვლევები გადამწყვეტ როლს ასრულებს საზოგადოების პრობლემების მოგვარებაში, რადგან იგი წარმოადგენს ინოვაციის საფუძველს და ძირითადი ძალაა საზოგადოებრივი და ეკონომიკური განვითარებისთვის. შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაღალი დონის სადოქტორო საფეხურის ჩამოყალიბებას და დოქტორანტებში აკადემიური იდენტობის გაღვივებას.

საქართველოში 3727 დოქტორანტია (2012-2013 წლებში კვლევა ჩაატარა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა ჯგუფმა). ასევე მნიშვნელოვანია დოქტორანტების სამეცნიერო კვლევებში ჩართვა და დასაქმება.

როგორ ვაქციოთ სტუდენტი დოქტორანტი მკვლევრად, რათა მასში ჩადებული ინტელექტუალური თუ ფინანსური ინვესტიცია ისევ ცოდნის შექმნას და აკადემიურ სივრცეს მოხმარდეს? — ეს აქტუალური პრობლემაა, რადგან დღეს საქართველოს ძალიან სჭირდება აქტიური ახალგაზრდა მეცნიერები, მკვლევრები.

საინტერესოა რამდენი დისერტაციაა დაცული ბოლო წლების განმავლობაში თსუ-ში? გაიზარდა თუ არა სადოქტორო ნაშრომების ხარისხი და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ დოქტორანტურაში სწავლა უფრო მოთხოვნადი და მიმზიდველი გახდეს? ამის შესახებ საკუთარ მოსაზრებებს გვიზიარებენ თსუ-ის სადისერტაციო საბჭოების წარმომადგენლები

ელგუჯა მექვაბიშვილი,
თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე:

— დღესდღეობით, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სულ რეგისტრირებულია 239 დოქტორანტი. ფაკულტეტს 2 სადოქტორო პროგრამა აქვს: ეკონომიკა და ბიზნესის ადმინისტრირება. ეკონომიკური მიმართულებით 105 დოქტორანტია, ხოლო ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით — 134 დოქტორანტი. მათ შორის აქტიურია — 111, ხოლო 128-ს სტატუსი აქვს შეჩერებული. სასწავლო წლის განმავლობაში დოქტორანტურაში 2-ჯერ გვაქვს მიღება. ამ გაზაფხულზე, ლიმიტის ამოწურვის გამო, მიღება არ გვაქვს. იგი ახალი სასწავლო წლიდან განახლდება.

დოქტორანტების დაფინანსებასთან დაკავშირებით სიახლე გვაქვს. წელს სახელმწიფომ მთელი საქართველოს მასშტაბით 135 დოქტორანტი დააფინანსა, მათგან 60 დოქტორანტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს, 11 კი — თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზეა.

როგორც მოგეხსენებათ, დოქტორანტის საბოლოო მიზანი დისერტაციის დაცვაა. ამ მხრივ მდგომარეობა ასეთია: 2013 წელს დაცულია 7 დისერტაცია, რის საფუძველზეც ეკონომიკის დოქტორის წოდება მიენიჭა 2 დოქტორანტს, ხოლო ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური ხარისხის წოდება — 5 დოქტორანტს. 2014 წლიდან დღემდე 3 დისერტაციაა დაცული ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით.

რაც შეეხება დისერტაციების ხარისხს, ვფიქრობ, რომ მათი დაცვის გერმანული მოდელი (საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვა) უფრო მეტად განაპირობებდა სადოქტორო ნაშრომის ხარისხის მაღალ დონეს — ამის თქმის უფლებას გამოცდილება მაძლევს. ვფიქრობ, რომ დღევანდელი სადოქტორო დისერტაციების ხარისხი, ხშირ შემთხვევაში, არ აღემატება საკანდიდატო დისერტაციების დონეს ძველი დაცვის პირობებში. ვერ ვიტყვი, რომ ეს დაბალი დონის დისერტაციებია. ამ მხრივ ძლიერი კონტროლი გვაქვს: მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ 7 დისერტაციაა დაცული და ეს არ არის ბევრი. ამის მიზეზი ისაა, რომ ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხრიდან დოქტორანტისთვის საკმაოდ მაღალი მოთხოვნებია წაყენებული, რომელიც ფაკულტეტის დებულებაშია გაწერილი. ჩვენ ამ მოთხოვნების დაცვას კატეგორიულად მოვითხოვთ. დოქტორანტმა დასახულ მიზანს რომ მიაღწიოს, საკმაოდ ავტორიტეტიან და კვალიფიციურ კომისიას 2 კოლოქვიუმი და 1 სემინარი უნდა ჩააბაროს, ამიტომ დოქტორანტი დისერტაციის დაცვაზე უკვე საკმაოდ მომზადებული მოდის. დისერტაციის ჩაგდების შემთხვევა არ მახსოვს... არის თემები, რომელიც უმაღლეს შეფასებას იმსახურებენ და არის ისეთებიც, რომელთა ხარისხიც გაცილებით ნაკლებია. საკმაოდ დიფერენცირებულია შეფასებები, მაგრამ ამ ბარიერების გავლის შემდეგ დაცვაზე ვინც კი მოდის, უკვე კარგად მომზადებულია.

თამარ ზარანდია,
თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

— თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურა დღეს საკმაოდ მოთხოვნადია. 300 აქტიური დოქტორანტი გვყავს. ბოლო 5 წლის განმავლობაში ფაკულტეტზე დაცულია დაახლოებით 40-მდე სადოქტორო დისერტაცია, ხოლო 2014 წლიდან დღემდე — 2. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურა აკადემიური მხრითაც საკმაოდ ძლიერია. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეა აკადემიკოსი ლევან ალექსიძე. სადოქტორო პროგრამა 2 მიმართულებით ხორციელდება: გვაქვს საერთაშორისო სამართლის სადოქტორო პროგრამა და სამართლის სადოქტორო პროგრამა. ეს პროგრამები მეცნიერული კვლევისა და პროფესიული ზრდის კარგ შესაძლებლობას იძლევა. თსუ-ს წამყვანი იურიდიული სკოლა აქვს და, შესაბამისად, დოქტორანტურაც განსაკუთრებით ძლიერია, ყველაზე მეტად ამას აკადემიური პერსონალი განაპირობებს. დღეს თუ იურიდიულ სფეროში რაიმე ღირებული იქმნება, ამას ჩვენი პროფესურა ახორციელებს. სამართლის სხვა სკოლებიც ჩვენი პროფესორების მიერ შექმნილი სასწავლო ლიტერატურით სარგებლობენ.

სამართლის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში სტუდენტს 2 სასემინარო ნაშრომისა და 2 კოლოქვიუმის შესრულება უწევს, რაც მას დამოუკიდებელი კვლევისთვის ამზადებს და სავალდებულო უნარ-ჩვევებს უმუშავებს. დოქტორანტი, რომელიც თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე იცავს სადისერტაციო ნაშრომს, კარგად მომზადებული და კვალიფიციურია.

თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტს სადოქტორო ნაშრომის დაცვის მაღალი სტანდარტი აქვს. ჩვენი დოქტორანტები სასწავლო პროცესშიც აქტიურად არიან ჩართულნი. ისინი პროფესორის ასისტენტის სტატუსის ფარგლებში პედაგოგს სასწავლო პროცესის წარმართვაში ეხმარებიან.

რევაზ გაჩეჩილაძე,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე:

— თვალს თუ გადავავლებთ სტატისტიკას, 2012 წელს სადოქტორო დისერტაცია ჩვენი ფაკულტეტის 5-მა დოქტორანტმა დაიცვა, 2013 წელს — 1-მა, ხოლო 2014 წლიდან დღემდე 1-მა სტუდენტმა მიიღო დოქტორის წოდება. ფაკულტეტის თვითმიზანი არ არის დისერტაციების რაოდენობრივი ზრდა, ჩვენ ორიენტირებულები ვართ მის ხარისხზე. მაგალითად, გასულ წელს ორ თუ სამ დისერტაციას დაცვაზე უარი ვუთხარით.

სამეცნიერო ხარისხის მინიჭების გერმანული მოდელი გამართლებული იყო იმ თვალსაზრისით, რომ სადოქტორო დისერტაციის მომზადებისთვის გაცილებით დიდი დრო ჰქონდა დოქტორანტს. ჩემ ახალგაზრდობაში, მეცნიერების კანდიდატი ხდებოდა ახალგაზრდა, დაახლოებით, 25-30 წლის ასაკში, ხოლო მეცნიერების დოქტორი გაცილებით გვიან, როცა უკვე საკმაოდ მომწიფებული იყო როგორც მეცნიერი. ვისაც დოქტორობა სურდა, უნდა ჰქონოდა მინიმუმ ერთი მონოგრაფია, ერთი სერიოზული პრობლემა მეცნიერული კუთხით დამუშავებული ან ახალი მიმართულება შემუშავებული თავის სამეცნიერო სფეროში — ასეთი იყო სადისერტაციო საბჭოს მოთხოვნები. მაგალითად, მე, საბჭოთა კავშირის დროს, 47 წლის ასაკში დავიცავი სადოქტორო დისერტაცია. ცოტა მოგვიანებით, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის ამერიკულ მოდელზე გადავედით, რის საფუძველზეც, შეიძლება, 25-26 წლის ახალგაზრდას დოქტორი ეწოდოს. თუ იგი აკადემიურ მოღვაწეობას წარმატებით გააგრძელებს, აბსოლუტურად შესაძლებელია, ისეთივე დონეს მიაღწიოს, როგორიც ჰქონდა თავის დროზე ჰაბილიტაციას. ამიტომაც ვერ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც გერმანული მოდელი სჯობდა, თუმცა მას ჰქონდა გარკვეული პლუსები, თან ეს არ იყო საბჭოთა სისტემა, იგივე სისტემა მუშაობდა პოლონეთსა და საფრანგეთშიც.

რამაზ ბოჭორიშვილი,
თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

— 2010 წლიდან დღემდე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე დაცულია 22 სადისერტაციო ნაშრომი. ამათგან ფიზიკის მიმართულებით 8, მათემატიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მიმართულებით — 4, ხოლო გეოგრაფიის მიმართულებით 2 ნაშრომი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფაკულტეტზე შემუშავებული მოთხოვნები გაცილებით მეტ აქტივობას მოითხოვს დოქტორანტისგან, ვიდრე ეს მოცემულია თსუ-ის დოქტორტანტურის მინიმალურ სტანდარტში. მაგალითად, დოქტორანტმა დისერტაცია რომ დაიცვას, აუცილებელი მოთხოვნაა სამეცნიერო პუბლიკაცია გამოქვეყნდეს იმპაქტ-ფაქტორიან გამოცემაში. ეს მოთხოვნა განაპირობებს დოქტორანტების მიერ ჩატარებული სამეცნიერო კვლევების და შესაბამისი სადოქტორო დისერტაციების მაღალ ხარისხს.

ჩვენი მოთხოვნების შესაბამისად, დოქტორანტის ძირითადი ფუნქციაა სამეცნიერო კვლევებში ჩართულობა და სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნება. თუ დოქტორანტი ამას არ აკეთებს, თუ მას კვლევის მოთხოვნილება არ აქვს, მას სხვა ვერანაირი მოტივაცია ვერ უშველის.

დიდი მნიშვნელობა აქვს, ასევე, დოქტორანტების ხელშეწყობას. ამ მხრივ, მნიშვნელოვან მხარდაჭერას წარმოადგენს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კონკურსი, რაც დოქტორანტს კვლევების განხორციელებისთვის საკმაოდ სოლიდურ თანხას სთავაზობს. ამავე ფონდისა და იულიხის კვლევების ცენტრის კონკურსში გამარჯვებულ დოქტორანტებს გერმანიაში კვლევის ჩატარების საშუალებაც ეძლევათ. უნივერსიტეტში დოქტორანტებისთვის მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ფორუმი, პროფესორის ასისტენტობა და პოსდოქტორანტურა, რომლის ამოქმედება მიმდინარე წელს იგეგმება. ფაკულტეტის ადმინისტრაცია ასევე ზრუნავს დოქტორანტების სწავლის ღირებულებისა და მათი სამეცნიერო მივლინებების დაფინანსებაზეც.

დიმიტრი კორძაია,
თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:

— თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტზე ამჟამად 112 დოქტორანტი სწავლობს. ბოლო 5 წლის განმავლობაში, სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით, დაცულია 16 დისერტაცია, ხოლო საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამით — 3.

რაც შეეხება დისერტაციების ხარისხს, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ნამდვილად ამაღლდა. თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების დებულებაში შეტანილია მუხლი, რომელიც დოქტორანტს არ აძლევს საშუალებას — დაცვაზე გამოიტანოს სადისერტაციო ნაშრომი, თუ მას არ აქვს ამ თემაზე გამოქვეყნებული ერთი პუბლი-

მე-5 გვერდზე

აქტუალური

გაიზარდა თუ არა სადოქტორო ნაშრომების ხარისხი?

მეოთხე გვერდიდან

კაცია მაინც საერთაშორისოდ აღიარებულ სამეცნიერო ჟურნალში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითოეული ნაშრომი გადის მინიმუმ ორ მაღალკვალიფიციურ ექსპერტიზას. „მინიმუმ ორს“ იმიტომ, რომ ხშირად ექსპერტებს აქვთ შენიშვნები, რომლის გათვალისწინების შემდეგ, დოქტორანტი იმავე ნაშრომს უკვე სხვა იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში აგზავნის და იგი ხელახლა გადის ექსპერტიზას. ასეთმა მიდგომამ მოტივაცია შეუქმნა არა მარტო დოქტორანტებს, არამედ მათ ხელმძღვანელებსაც — უფრო მეტად გაითვალისწინონ საერთაშორისო სტანდარტები და მოთხოვნები სამეცნიერო კვლევებში.

მნიშვნელოვანია ახალგაზრდა მეცნიერს ჰქონდეს გარანტია, რომ მოახერხებს კვლევის გაგრძელებას დოქტორანტურის დასრულების შემდეგაც. თსუ-ში ახლახან შექმნილი პოსტდოქტორანტურის ვაკანსიები ფრიად მისასალმებელია, თუმცა მათი რაოდენობა, უახლოეს წლებში, აუცილებლად უნდა გაიზარდოს.

დარეჯან თვალთვაძე,
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი:

— 2009 წლიდან დღემდე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სხვადასხვა მიმართულებით, 128 დისერტაციაა დაცული. დისერტაციების ხარისხი ერთგვაროვანი არასდროს ყოფილა, და ცხადია, არც ახლაა. ბოლო 5 წლის მანძილზე დაცულ დისერტაციათაგან ბევრი იყო ისეთი, რომელმაც უმაღლესი შეფასება (91-100 ქულა) დაიმსახურა, რამდენიმე შედარებით დაბალი ქულით (51-დან 70-მდე) შეფასდა, ხოლო ერთმა ნაწილმა საშუალოზე მაღალი შეფასების (71-დან 90-მდე) ქულა დაიმსახურა.

თუ გადავხედავთ უნივერსიტეტის საერთო სტატისტიკას, მთელი ქვეყნის მასშტაბით იკლო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისადმი ინტერესმა, მეტიც, იგი აღარც პრესტუჟულ-ელიტარულ საქმიანობად ითვლება და აღარც შემოსავლიან საქმედ.

საჭიროა დაიგეგმოს და განხორციელდეს მთელი რიგი ღონისძიებები, რათა მეცნიერმა და მისმა საქმიანობამ ძველი მიმზიდველობა დაიბრუნოს. ამას საკმაოდ დიდი დრო და ბევრი ადამიანისა და ინსტიტუციის ძალისხმევა დასჭირდება. უპირველეს ყოვლისა, უნდა გააქტიურდნენ სტუდენტთა სამეცნიერო წრეები, რადგან სწორედ იქ ეყრება საფუძველი სამეცნიერო კვლევებისადმი ინტერესს.

უნივერსიტეტმა უნდა დააწესოს სტიპენდიები წარმატებული დოქტორანტებისთვის. მეცნიერის შრომა სათანადოდ უნდა ანაზღაურდეს და დოქტორანტს იმედი უნდა ჰქონდეს დასაქმების. ასევე მათ საშუალება უნდა მიეცეთ სამეცნიერო რეცენზირებად ჟურნალებში ბეჭდვის და სხვ.

ბოლო პერიოდში რამდენიმე ძალიან კარგ ინიციატივას ჩაეყარა საფუძველი: პირველ რიგში, დავასახელებ რუსთაველის ფონდის მიერ დოქტორანტების დასაფინანსებლად გამოცხადებულ კონკურსს, რომელიც ჩვენი უნივერსიტეტის 60 დოქტორანტმა გაიმარჯვა და მათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი დაუფინანსებს სწავლის გადასახადს, სადოქტორო კვლევისთვის საჭირო ხარჯებს, საზღვარგარეთ სტაჟირებას ან კონფერენციებში მონაწილეობას. 60 დაფინანსებული დოქტორანტიდან 32 ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი გახლავთ. ეს წამოწყება უნდა გაგრძელდეს და და გაფართოვდეს.

კარგი ინიციატივაა ასევე უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ყოველწლიური სამეცნიერო ფორუმის გამართვა, რომელშიც პროფესორებთან ერთად ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებიც მონაწილეობენ. ამგვარი ღონისძიებები, ცხადია, ხელს უწყობს ახალგაზრდების დაინტერესებას სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით, მაგრამ, ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით უფრო ქმედითი ნაბიჯებია გადასადგმელი სახელმწიფოს მხრიდან. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს და ბაკალავრიატის მსგავსად დააფინანსოს პრიორიტეტული დარგების სადოქტორო პროგრამები.

ყველანაირად ხელი უნდა შევუწყოთ ერთობლივი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამების ამუშავებასაც. ერთი ასეთი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა — „ევროპული ლიტერატურა“ წარმატებით მუშაობს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, რომლის კურსდამთავრებულები მიიღებენ როგორც თსუ-ის, ისე ბოლონიის უნივერსიტეტის დოქტორის აკადემიურ ხარისხს.

გამოფენა

ერთადერთი რაინდი



შურთხია ბეროშვილი

23 აპრილს ივანე ჯავახიშვილის დაბადების 138 წლის იუბილე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუზეუმისა და ეროვნული არქივის მიერ ორგანიზებული გამოფენით აღინიშნა. ღონისძიებას თსუ-ის რექტორი აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, სტუდენტები, პროფესორები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ. ექსპოზიციაზე სახელწოდებით — „ერთადერთი რაინდი“ წარმოდგენილი იყო თსუ-ის მუზეუმში დაცული მეცნიერის პირადი მემორიალური ნივთები და დოკუმენტები, აგრეთვე უნივერსიტეტის დაარსების ამსახველი ფოტო-დოკუმენტური მასალა, რომელიც უნივერსიტეტის ისტორიის ღირსშესანიშნავ ფაქტებს ქრონოლოგიურად გადმოგვცემს.

„ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა და მას ვერავინ შეეტოქება და შეეზიარება“ — უნივერსიტეტის პირველი რექტორის პეტრე მელიქიშვილის ეს სიტყვები გასდევდა ლაიტმოტივად ექსპოზიციას, რომელმაც დამსწრე საზოგადოების ინტერესი გამოიწვია. თსუ-ის მუზეუმის დირექტორმა მაია გურაბანიძემ ივანე ჯავახიშვილის ღვაწლზე და ექსპოზიციის შინაარსზე ისაუბრა: „ჩვენი მიზანი იყო 1917 წლის მაისიდან 1918 წლის 26 იანვრამდე აგვესახა და ამბად მოგვეყოლა ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც უნივერსიტეტის გახსნით დაგვირგვინდა. ამასთან, გაჩნდა იდეა, რომ თსუ-ის, ხელნაწერთა ინსტიტუტის და ეროვნული არქივის ერთობლივი ძალისხმევის შედეგად შეიქმნას ვებ-გვერდი, სადაც თავს მოიყრის ივანე ჯავახიშვილის შესახებ ყველა ინფორმაცია“.

დამსწრე საზოგადოებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავაც მიესალმა: „დღევანდელი დღე მართლაც მნიშვნელოვანია უნივერსიტეტისთვის და სრულიად საქართველოსთვის, რადგანაც უნივერსიტეტის დაარსება ეროვნული საქმე იყო. ჩვენ უნდა გავიხსენოთ დიდი წინაპრები, განსაკუთრებით ივანე ჯავახიშვილი, რომლებმაც ამ უნივერსიტეტს ჩაუყარეს საფუძველი. დარწმუნებული ვარ, რომ ის ჩანაფიქრი, რომელიც უნივერსიტეტის დამაარსებელ მამებს ჰქონდათ, ხორცშესხმული იქნება ჩვენი თაობის მიერ“, — აღნიშნა ვლადიმერ პაპავამ.

გამოფენაზე ორი ახალი კრებულის პრეზენტაციაც გაიმართა, რომელიც პროფესორმა მალხაზ მაცაბერიძემ წარმოადგინა: მისი ინფორმაციით, კრებულებში შეტანილია ივანე ჯავახიშვილის მიერ 1919 წელს წაკითხული ლექციის საგაზეთო ჩანაწერი, სადაც გადმოცემულია მეცნიერის პოზიცია იმ პერიოდში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. მეორე კრებულში კი შეტანილია ივანე ჯავახიშვილის ის ნაშრომები და წერილები, სადაც ასახულია, თუ რა შრომა გასწია ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის დასაარსებლად.

პირველი მაისი — 2014

პირველ მაისს შრომის უფლებების დამცველი ახალგაზრდები უნივერსიტეტის ეზოში შეიკრიბებიან და რუსთაველის გამზირის გავლით სახელმწიფო კანცელარიამდე სანქცირებულ სვლას მოაწყობენ. როგორც ორგანიზატორები გვპირდებიან, აქცია ხმაურიანი იქნება და ტრანსპორტის სავალი ნაწილიც გადაიკეტება. ასე რომ, მოერიდეთ რუსთაველის გავლით გადაადგილებას. თუმცა, თუკი იზიარებთ მოსაზრებას, რომ დასაქმებულების უფლებებზე სახელმწიფო უფრო მეტად უნდა ზრუნავდეს, შეგიძლიათ შეუერთდეთ მსვლელობას და მხარში ამოუდგეთ მემარცხენე სტუდენტებს. აქცია ღიაა და მასში მონაწილეობა ნებისმიერს შეეძლება.

წლევანდელი საპირველმაისო აქცია იმავე სტუდენტების მიერ არის ორგანიზებული, რომლებმაც შარშანაც მოაწყვეს ხმაურიანი მსვლელობა, თუმცა მათი თქმით, წლევანდელი აქცია გაცილებით მიზანმიმართული, მაგრამ ნაკლებ რადიკალური იქნება.

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ აქციის ორგანიზატორებს, ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატებსა და თსუ-ის სტუდენტებს **ბათუ კოპალიანსა** *და* **მარი იაკობიძეს** *ესაუბრა.*

მარი იაკობიძე:

— წელს საპირველმაისო აქციის ორგანიზატორები არიან ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატები, ახალგაზრდა მწვანეები, ახალგაზრდა სოციალისტები, ასევე, შემოგვიერთდებიან სხვა ორგანიზაციებიც. მთავარი აქცია უნივერსიტეტის ეზოში 2 საათზე გაიმართება და დაიწყება მსვლელობა მთავრობის კანცელარიამდე. იქ შემოგვიერთდებიან სხვა ორგანიზაციებიც, მაგალითად, პროფკავშირები, სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. აქციამდე გავავრცელებთ მანიფესტს და ვინც მას ეთანხმება, ყველას შეუძლია შემოგვიერთდეს. სამწუხაროდ, ის ადამიანები, ვისთვისაც კეთდება ეს აქცია, ვერ ახერხებენ მოსვლას, რადგან მუშაობენ. ჩვენი ერთ-ერთი მოთხოვნა ესეც არის: პირველი მაისი გამოცხადდეს დასვენების დღედ. მიგვაჩნია, რომ დასაქმებულებს უნდა ჰქონდეთ ერთი დღე, როცა იმის თქმა შეეძლებათ, რაც აწუხებთ.

სხვა მოთხოვნებიც იქნება, თუმცა, შარშანდელთან შედარებით, წელს ცოტა განსხვავებული შინაარსით ვაპირებთ აქციის ჩატარებას: მოთხოვნებთან ერთად გვექნება კონკრეტული ინიციატივებიც. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა შეეხება სახელმწიფოს აქტიურ მონაწილეობას შრომითი ურთიერთობების დარეგულირებაში, საამისოდ კი უნდა გატარდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და საკმარისი არ არის შრომის კოდექსში რაღაც მუხლის ჩამატება. მოვითხოვთ, რომ სახელმწიფოს ჰქონდეს წინასწარ დაგეგმილი და გააზრებული პოლიტიკა, რომელსაც დაეყრდნობა შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივები. ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა შრომის ინსპექციის აღდგენა, რომელიც არსებობდა და 2006 წელს ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში გააუქმეს. შრომის ინსპექცია ის ინსტიტუტია, რომელიც უფლებამოსილია გამოავლინოს დამსაქმებლის მიერ შრომითი პირობების დარღვევის შემთხვევები და უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა. შრომის კოდექსში დღეს კი წერია, რომ დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს დასაქმებულისთვის უსაფრთხო გარემო, მაგრამ ამას ვერაფრით აკონტროლებს სახელმწიფო. შრომის ინსპექციას ექნება საიმისო შესაძლებლობები, რომ უზრუნველყოს შრომის კოდექსსა და კანონმდებლობაში გაწერილი მოთხოვნების გაკონტროლება. ამავე დროს, როდესაც ირღვევა კანონმდებლობა, დასაქმებულს, ვისი უფლებაც შეილახა, დარღვევის გასაჩივრება შრომის ინსპექციაში შეეძლება.

— ანუ, პირველი მაისის აქციას გამოიყენებთ საიმისოდ, რომ ეს ინიციატივა გაახმიანოთ. თუმცა, ამის განსახორციელებლად მხოლოდ ერთი აქცია არ იქნება საკმარისი. შემდგომ როგორ აპირებთ საქმიანობას?

— ვაპირებთ ვიმუშაოთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფებთან. მაგალითად, ჭიათურის მაღაროელებთან, იგივე კაზრეთის ოქროს მომპოვებლებთან.

— ძირითადად მუშებზეა საუბარი?

— არა მარტო. ჩვენ ზოგადად ვეხებით როგორც დასაქმებულების, ისე დაუსაქმებლების პრობლემებს. მაგალითად: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დასაქმების საკითხს, ქალთა ეკონომიკურ ემანსიპაციას, მწვანე თემატიკას. ჩვენი შემდეგი მოქმედება იქნება ამ ჯგუფებთან ერთად, მაგალითად, შშმპ-ებთან ერთად, პოლისების შემუშავება და სახელმწიფო პროგრამებზე ზემოქმედება.

პირველი მაისის აქცია არ არის რაღაცის დასასრული, იგი დასაწყისია მწყობრი პროცესებისა, რომელიც გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში მომდევნო პირველ მაისამდე.

ბათუ კოპალიანი:

— შარშანდელი აქცია საკმაოდ ხმაურიანი და რადიკალური ხასიათისა იყო. წლევანდელ აქციაზე თუ იქნება ეპატაჟი?

— ეპატაჟი იქნება, ჩვენ ვიხმაურებთ, მივიქცევთ ყურადღებას, მაგრამ არ ვაპირებთ გავცდეთ კანონის ჩარჩოებს. გავახმიანებთ ამ პრობლემებს ისე, რომ ყველამ გაიგოს და, პირველ რიგში, იმათ, ვინც ახდენენ დისკრიმინაციას შრომით ბაზარზე. თუმცა, შარშანდლის მსგავსი ინციდენტები და კანონდარღვევები არ იქნება, რადგან ამ იდეებისა და ჩვენი მარგინალიზაცია არ უნდა მოხდეს. სანქცია უკვე გვაქვს მერიისგან. ყველაზე მთავარი ამ აქციაში ის არის, რომ არ ვაყენებთ ზოგად მოთხოვნებს, არამედ ვითხოვთ სისტემურ ცვლილებებსა და რეფორმებს. გვაქვს გეგმა, თუ როგორ შეიძლება მოთხოვნების განხორციელება. ეს არ იქნება კრიტიკა კრიტიკისთვის, ეს კრიტიკაა, რომელიც ამავე დროს, ალტერნატიულ მიდგომას სთავაზობს საზოგადოებასა და ხელისუფლებას. ამით განსხვავდება წლევანდელი აქცია შარშანდელისგან.

— წინასაარჩევნო პერიოდია. შესაძლოა ეს აქცია გარკვეულმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა გამოიყენონ. მით უმეტეს, რომ შრომის თემა მტკივნეულია დღეს საზოგადოებისთვის.

— მოსვლას ვერავის ავუკრძალავთ, ყველას შეუძლია შემოუერთდეს აქციას, თუმცა, ვერავინ გამოიყენებს ამ აქციას თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის. „კოსტუმიანი პოლიტიკოსი“ ვერ მოვა და ვერ იტყვის, რომ ისიც ამ აქციის ორგანიზატორია. ვინც მოვა, თუკი მათ პოზიციას გავაკრიტიკებთ, ამ კრიტიკის მოსმენაც მოუწევს.

მოამზადა
ლელა კურდღელაშვილმა

სერტიფიკატები კონფერენციაში მონაწილეობისთვის

17 აპრილს რესპუბლიკური კონფერენციის „საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკა — პრობლემები და გამოწვევები“ დასკვნითი ღონისძიება გაიმართა. თსუ-ის საქართველოს განვითარების კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრის ახალგაზრდული პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ნიკოლოზ მეტრეველმა კონფერენციაში მონაწილეებს სერტიფიკატები გადასცა.

„პროექტი წარმატებით დაიწყო. ყველა ნაშრომი საინტერესო და ნაყოფიერი იყო. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ხელისუფლება გაითვალისწინებს სტუდენტების რჩევებსა და შეხედულებებს. მინდა მადლობა გადავუხადო კონფერენციაში მონაწილეებს და იმედი მაქვს, რომ მუშაობას ასევე წარმატებულად გავაგრძელებთ“, — აღნიშნა ნიკოლოზ მეტრეველმა.

ღონისძიებაზე მომდევნო კონფერენციის თემაც დაანონსდა — „უნივერსიტეტები ირჩევენ ევროპას“. შესაბამისად, მასში მონაწილეობის მსურველებს მოხსენებების მომზადება საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანების საკითხზე მოუწევთ.

ამერიკისმცოდნეობის ყოველწლიური კონფერენცია

26 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა ამერიკისმცოდნეობის ყოველწლიური კონფერენცია გაიმართა. კონფერენცია ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო უფლებების აქტის მიღების 50-ე წლისთავს მიეძღვნა. სტუდენტთა ამერიკისმცოდნეობის კონფერენცია წელს მეორედ ჩატარდა და მასში მონაწილეობდა საორგანიზაციო კომიტეტის მიერ შერჩეული საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის 30 სტუდენტი. მოხსენებების თემატიკა ფართო იყო და მოიცავდა ჩრდილოეთდა სამხრეთ ამერიკის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს: ისტორიას, პოლიტიკას, ეკონომიკას, კულტურას, სოციალურ საკითხებს და სხვა.

კონფერენცია მოეწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტთა სამეცნიერო წრის, ამერიკის შესწავლის ინსტიტუტისა და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის ორგანიზებით.

მარიამ ბერია

„ეს ჩვენი მეორე კონფერენციაა. წინა წელს კონფერენცია გაიმართა თემაზე ,,ორი ამერიკა — წარსული, აწმყო, მომავალი”. მსგავსი კონფერენციები მნიშვნელოვანია, რადგან ვახდენთ სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობის წახალისებას, ამერიკისმცოდნეობის თემატიკით დაინტერესებული სტუდენტების შეკრებას. საორგანიზაციო კომიტეტმა შემოსული განცხადებებიდან 30 მოხსენება რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით შეარჩია: რამდენად შეესაბამებოდა სამეცნიერო ნაშრომი სტანდარტებს და რამდენად ჩანდა კვლევის ელემენტები სტუდენტის მიერ არჩეულ თემაში“, — განაცხადა კონფერენციის ორგანიზატორმა მარიამ ხატიაშვილმა, თსუ-ის ამერიკისმცოდნე სტუდენტთა სამეცნიერო წრის თავმჯდომარემ და კონფერენციის ორგანიზატორმა.

კონფერენციის საზეიმო გახსნის ფარგლებში გაიმართა საქართველოში ფულბრაიტის პროგრამის მკვლევარის, მონტანას უნივერსიტეტის პროფესორის ჯეფრი რენზის პრეზენტაცია თემაზე ,,50 წელი სამოქალაქო უფლებებისათვის მოძრაობიდან და რას მივაღწიეთ ჩვენ”.

„ეს დღე ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რადგან 50 წელია, რაც ეს კანონი რეალობა გახდა. დღეს ჩვენი პრეზიდენტი აფროამერიკელია, ბარაკ ობამა არის შედეგი, ამ კანონის წარმატებული მუშაობის. მოხარული ვარ, რომ საქართველოში არსებობს ეს დეპარტამენტი და ასწავლიან ამერიკისმცოდნეობას,“ — განაცხადა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს კულტურის ატაშემ ჯეიმს დუიმ.

კონფერენციის გახსნაზე თსუ-ის პროფესორი ელენე მეძმარიაშვილი მიესალმა სტუდენტების დაინტერესებას და ჩართულობას ამერკისმცოდნეობაში, როგორც მეცნიერებაში: „მინდა აღვნიშნო, რომ შარშანდელთან შედარებით თემატიკა ძალიან საინტერესოა. იმედი მაქვს, რომ ეს პროცესი გაგრძელდება და მომავალში სტუდენტები კიდევ უფრო მნიშვნელოვან მოხსენებებს წარმოადგენენ“, - განაცხადა მან.

როგორც გასულ წელს, წელსაც კონფერენციაში მონაწილეობდნენ მოხალისე სტუდენტები, რომლებიც ტექნიკური საკითხების მოგვარებაში იღებდნენ მონაწილეობას. ,,მნიშვნელოვანია, რომ ამ კონფერენციის ჩატარებისას დაინერგა მოხალისეობის ინსტიტუტი. მოხალისეები გვეხმარებიან ბეიჯების დამზადებაში, პროგრამების დაბეჭდვაში, რეგისტრაციის საქმეებში. წინა წელთან შედარებით, სტუდენტები უფრო მეტი ინტერესით არიან ჩართულები და მისასალმებელი ფაქტია, რომ თავისუფალ დროს საინტერესო სტუდენტურ აქტივობას ახმარენ“, — გვითხრა მარიამ ხატიაშვილმა.

კონფერენციზე რამდენიმე მოხსენებამ განსაკუთრებული ინტერესი დაიმსახურა.

ლილი ხატიაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი: „ჩემი დღევანდელი მოხსენება ეძღვნება აფროამერიკელ მონათა რელიგიებს და რელიგიების გავრცელებას სამხრეთ ამერიკაში. ვფიქრობ, საინტერესო მოხსენება გამოვიდა, რადგან ეს რელიგიები კათოლიციზმთანაა შერწყმული და ასახავს მათ კულტურულ-ეთნოგრაფიულ თავისებურებებს. დღევანდელ კონფერენციაზე მოხალისედაც ვიყავი ჩართული, მონაწილეობას ვიღებდი კონფერენციის საორგანიზაციო და ტექნიკური საქმეების მოგვარებაში“.

ნინო ჯორბენაძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი: ,,პრეზენტაციას ჩემს მეგობარ ხატია კაპანაძესთან ერთად ვაკეთებ. მოხსენების თემაა ,,პირველი მსოფლიო ომის გავლენა სუფრაჟისტებზე.” როგორც იცით, ამერიკაში ქალებს ძალიან დიდი დრო დასჭირდათ, რომ არჩევნებში ხმის მიცემის უფლება მოეპოვებინათ. კოლონიური პერიოდის დასაწყისიდან ამერიკაში მათ არანაირი უფლებები არ ჰქონდათ. გათხოვების შემდეგ კი მათი მთელი ქონება მეუღლის ხელში გადადიოდა, ასევე არ ჰქონდათ განათლების მიღებისა და მუშაობის უფლება. სუფრაჟისტები იყვნენ ქალთა მოძრაობის წევრები, რომლებიც მე-19 საუკუნიდან აქტიურად იბრძოდნენ ქალთა უფლებების მოსაპოვებლად. მათ დააარსეს სხვადასხვა ორგანიზაცია, პირველ მსოფლიო ომში გამოავლინეს პატრიოტიზმი, რის შედეგადაც ქვეყნის პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი დათანხმდა, რომ კონგრესს მიეღო ქალთა უფლებების ბილი“.

სალომე წიქარიშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი: ,,ჩემი დღევანდელი მოხსენება ეხება სერიულ მკვლელთა ასახვას ამერიკულ კინემატოგრაფიაში. შერჩეული მაქვს სამი ფილმი, რომელიც რეალურ მონაცემებზე დაყრდნობითაა გადაღებული. ერთ-ერთი ასეთი ფილმია ,,მონსტრი,” სადაც მთავარ როლს შარლიზ ტერონი ასრულებს, როგორც სერიული მკვლელი (მართლაც არსებობდა ასეთი სერიული მკვლელი — იელინ ვორნსი). ზოგადად, სერიული მკვლელის ფსიქოლოგიის ამოხსნას ფსიქიატრები და ფსიქოლოგები დღემდე ცდილობენ. რამ განაპირობა, რომ ადამიანები გამხდარიყვნენ სერიული მკვლელები, ეს ძალიან დიდი და რთული საკვლევი თემაა. ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო ამ საკითხზე მუშაობა“.

კონფერენციის ყველა მონაწილეს საჩუქრად გადაეცა მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

კონფერენცია უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში ამერიკული მუსიკის საღამოთი საზეიმოდ დასრულდა, რომელზეც სტუდენტებმა ცოცხლად შეასრულეს სხვადასხვა მუსიკალური ჟანრის ამერიკული სიმღერები.

სამეცნიერო ფორუმი 2014

გამოვლინდნენ წლის საუკეთესო მეცნიერ-მომხსენებლები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 23-25 აპრილს ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ფორუმი გაიმართა. ფორუმზე უნივერსიტეტის პროფესორებმა და სამივე საფეხურის სტუდენტებმა საფაკულტეტო კომისიების მიერ შერჩეული საუკეთესო მოხსენებები წაიკითხეს.

ფორუმის ჩატარების შესახებ უნივერსიტეტმა გადაწყვეტილება გასულ წელს მიიღო. ის ყოველწლიურად ჩატარდება და მასზე თითო ფაკულტეტიდან წარმოდგენილი იქნება თითო გამარჯვებული ნაშრომი. ფორუმში მონაწილე მოხსენებების ავტორებს გადაეცემათ სერტიფიკატი და წამახალისებელი ფულადი ჯილდო: პროფესორებს 5 000 ლარი, დოქტორანტებს 1500 ლარი, მაგისტრანტებს 1000 ლარი, ხოლო ბაკალავრიატის სტუდენტებს 500 ლარის ოდენობით.

წლევანდელ ფორუმზე წარდგენილი იყო 24 მოხსენება.

ალექსანდრე შენგელაია,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

1990 წელს წარჩინებით დაამთავრა ყაზანის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის რადიოფიზიკისა და ელექტრონიკის ფაკულტეტი.

1996 წელს დაიცვა დისერტაცია ქ. ვროცლავის პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის დაბალი ტემპერატურების და სტრუქტურული კვლევის ინსტიტუტში (PhD ფიზიკაში);

2004 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1990-1992 წლები გაიარა სტაჟირება ყაზანში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკური ფიზიკის ინსტიტუტში;

1993-1995 წლებში სწავლობდა ქ. ვროცლავის პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის დაბალი ტემპერატურების და სტრუქტურული კვლევის ინსტიტუტის ასპირანტურაში;

1996-2001 წლებში იყო პოსტდოქტორი პროფ. H. Keller-ისა და ნობელის პრემიის ლაურეატის K. A. Müller-ის ჯგუფში (ციურიხის უნივერსიტეტის ფიზიკის ინსტიტუტი, შვეიცარიას);

2002-2005 წლებში იყო ციურიხის უნივერსიტეტის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (შვეიცარია);

2006 წლიდან დღემდე არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი.

გამოქვეყნებული აქვს 73 სამეცნიერო პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის მქონე მაღალი რანგის საერთაშორისო ჟურნალებში. მათ შორის, 35 პუბლიკაცია — Physical Review Letters da Physical Review-ში. ციტირების ინდექსი 1200 (Thomson ISI Web of Science). არის ამერიკის ფიზიკური საზოგადოების ჟურნალების რეცენზენტი.

გამარჯვებული თემა:
„თანამედროვე ზეგამტარი და მაგნიტური ნივთიერებების სწრაფი სინთეზის ახალი მეთოდი“;

ალექსანდრე შენგელაია:
„ჩვენი მოხსენება, რომელიც ჩემს კოლეგებთან — დიმიტრი დარასელიასთან, დავით ჯაფარიძესთან და ზურაბ ჯიბუტთან ერთად მომზადდა, შეეხება ახალი მაგნიტური და ზეგამტარული მასალების მიღების უახლეს მეთოდს, რომელიც მსოფლიოში არსებულ ანალოგებზე დაახლოებით 100-დან 1000-ჯერ უფრო სწრაფია. შესაბამისად, ნაცვლად საათებისა, შესაძლებელია ამ მასალების მიღება წამების განმავლობაში. ეს მასალები ძალიან მნიშვნელოვანია თანამედროვე ახალი ტექნოლოგიების განვითარებისთვის. მოხსენებაში წარმოდგენილია ტექნოლოგია, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორატორიაში შეიქმნა ჩემს კოლეგებთან ერთად.”

პაატა იმნაძე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტი 1976 წელს.

1992 წლიდან იყო დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორი; 1997 წლიდან იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კათედრის დოცენტი; 1997–1998 წლებში — მერილენდის უნივერსიტეტის მეცნიერ-მუშაკი; 2005 წლიდან არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯანდაცვის კათედრის სრული პროფესორი. არის 105 სამეცნიერო ნაშრომისა და მიკრობიოლოგიის ორი სახელმძღვანელოს ავტორი.

2003 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით;

2002 წელს გადაეცა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საპატიო მედალი.

გამარჯვებული თემა:
„განსაკუთრებით საშიში პათოგენების მოლეკულური ეპიდემიოლოგია საქართველოში“.

პაატა იმნაძე:
„მოლეკულურ ეპიდემიოლოგია, რომელიც ერთ-ერთი ახალი მიმართულებაა ეპიდემიოლოგიაში. როგორც ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისგან გენეტიკურად და თითების ანაბეჭდებით, ასევე განსხვავდებიან გენეტიკურად მიკროორგანიზმებიც. თანამედროვე მეთოდებით შესაძლებელია ძალიან ზუსტად განვასხვაოთ ერთმანეთისგან დაავადების გამომწვევი მიზეზები.

ვთქვათ, დაავადება ერთი ადამიანიდან მეორეზე, ან რაღაც რეზერვუარიდან ადამიანზე გადავიდა. ამ დაავადების გამომწვევ მოლეკულებს შორის არის გენეტიკური განსხვავებები და ჩვენ შეგვიძლია ეს ზუსტად დავადგინოთ. გარდა ამისა, ამ მიკროორგანიზმების შესწავლა ფილოგენეტიკურადაც ხდება და შესაძლებელია, დავადგინოთ და პარალელი გავავლოთ — როგორ ვრცელდებოდა მიკროორგანიზმები ერთიდან მეორეზე ან ერთი ტერიტორიიდან მეორეზე. სწორედ ამ თემას შეეხება ჩემი მოხსენება.“

გურამ ნაჭყებია,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1976-77 წლებში მუშაობდა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში. იყო საქ. სსრ იუსტიციის მოადგილე.

არის 70-მდე სამეცნიერო პუბლიკაციის, 6 მონოგრაფიის ავტორი და „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის“ სახელმძღვანელოს თანაავტორი.

გამარჯვებული თემა:
„სისხლის სამართალი“ (სახელმძღვანელო);

გურამ ნაჭყებია:
„დღევანდელი მოხსენება ეხება სამართლებრივი ურთიერთობის პრობლემას სისხლის სამართალში. მისი ორიგინალობა იმაში მდგომარეობს, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში თეორია ასეთია: დანაშაული არის ფაქტი, რომელიც დანაშაულის ჩადენის გამო სახელმწიფოს და პიროვნებას შორის ურთიერთობას ქმნის. მე, პირიქით, ვამტკიცებ, რომ სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ურთიერთობა წარმოიშობა არა დანაშაულის ჩადენის, არამედ მისი თავიდან აცილების გამო.“

რევაზ გაჩეჩილაძე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი 1965 წელს.

1968-1991 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური (შემდგომში სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური) გეოგრაფიის კათედრის ასისტენტი (1991-1998), დოცენტი (2004-2005), პროფესორი (2009 წლიდან დღემდე);

1989-1991 წლებში იყო სოციოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორი;

1991-1997 წლებში — დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილე;

1998-2003 წლებში იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელში;

2003-2009 წლებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სომხეთის რესპუბლიკაში.

1999 წლიდან არის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების (ლონდონი) საპატიო უცხოელი წევრი;

2008 წლიდან საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი;

მიღებული აქვს სხვადასხვა ჯილდოები და პრემიები, მათ შორის, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემია და საქართველოს სახელმწიფო პრემია, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში,

არის 18 მონოგრაფიისა და 150-მდე სამეცნიერო შრომის ავტორი;

გამარჯვებული თემა:
„დემოგრაფიული უსაფრთხოება — უმთავრესი გამოწვევა საქართველოსთვის“

რევაზ გაჩეჩილაძე:
„მოხსენება ეხება საქართველოსთვის საკმაოდ მწვავე საკითხს — დემოგრაფიულ უსაფრთხოებას. საქმე ისაა, რომ ჩვენ ვგრძნობთ, მაგრამ ბოლომდე ვერ ვაცნობიერებთ, რომ საქართველოში მოსახლეობის რაოდენობა იკლებს. შეიძლება ამ მომენტში ეს კლება არ შეიგრძნობა, მაგრამ ის ჩანს კონკრეტულად იმაში, რომ სკოლის მოსწავლეების რაოდენობა, განსაკუთრებით უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, 10 პროცენტით შემცირდა. ეს სახიფათო ტენდენციაა, რადგან სწორედ მოსწავლეებია ჩვენი მომავალი თაობა. ვფიქრობ, ხშირად უნდა ვილაპარაკოთ ამ საკითხზე, რადგან, თუ ერმა არ გააცნობიერა, რომ მას გარკვეული საფრთხე ელოდება, მის ადგილს სხვა დაიკავებს.”

იური ანანიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

1973 წელს დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის სპეციალობით

მე-8 გვერდზე

ალექსანდრე შენგელაია


პაატა იმნაძე

გურამ ნაჭყებია

რევაზ გაჩეჩილაძე

იური ანანიაშვილი

ელგუჯა ხინთიბიძე

სამეცნიერო ფორუმი 2014

გამოვლინდნენ წლის საუკეთესო მეცნიერ-მომხსენებლები

მეშვიდე გვერდიდან

„ეკონომიკური კიბერნეტიკა“, კვალიფიკაცია „ეკონომისტ-მათემატიკოსი“;

1978-1982 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური კიბერნეტიკის კათედრის ასისტენტი; 1982-1999 წლებში — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური კიბერნეტიკის კათედრის დოცენტი; 1999-2006 წლებში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური კიბერნეტიკის, (შემდგომ ეკონომიკის ანალიზის მათემატიკური მეთოდების) კათედრის პროფესორი;

2006 წლიდან დღემდე არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის მიმართულების სრული პროფესორი, ეკონომეტრიკის კათედრის ხელმძღვანელი;

გამოქვეყნებული აქვს 80-მდე სამეცნიერო შრომა (ბოლო 5 წელში — 30 სამეცნიერო შრომა), მათ შორის: 3 მონოგრაფია;

2005-2012 წლებში იყო საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ეკონომიკური საბჭოს წევრი;

2012 წლიდან არის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მრჩეველთა საბჭოს წევრი.

გამარჯვებული თემა:
„არადაკვირვებადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შეფასებისა და ანალიზის მეთოდები“

იური ანანიაშვილი:

„თემა სუფთა პროფესიონალურია. იგი ეხება ეკონომიკის მნიშვნელოვან მოვლენებს, კერძოდ, მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს, რომელიც სტატისტიკის სამსახურების მიერ არ მიეწოდება მომხმარებლებს. ასეთ მაჩვენებლებს არადაკვირვებადი მაჩვენებლები ეწოდება. ჩემს ნაშრომში ამ მიმართულებით შემუშავებულია სპეციალური მეთოდიკა, მეთოდები და მოდელები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, ასეთი არადაკვირვებადი მაჩვენებლები გამოვთვალოთ და მივაწოდოთ მომხმარებლებს. ეს მაჩვენებლები გაანგარიშების შემთხვევაში საშუალებას გვაძლევს, ავხსნათ ეკონომიკაში მიმდინარე მრავალი ისეთი მოვლენა, რომელიც უბრალოდ სხვა გზით შეუძლებელია აიხსნას.”

ელგუჯა ხინთიბიძე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი; თსუ-ის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ქართველოლოგიური სკოლის ფონდის ხელმძღვანელი

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი 1960 წელს.

1963-1965 წლებში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის კათედრის მასწავლებელი; 1965-1974 წლებში — სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის კათედრის დოცენტი; 1974 წლიდან დღემდე არის უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის კათედრის პროფესორი; 1965-1966 წლებში იყო. ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე; 1976-1985 წლებში — ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი; 1985-1993 წლებში მუშაობდა თსუ-ის პრორექტორად სამეცნიერო მუშაობის დარგში; 1988 წლიდან დღემდე არის ქართულ–საზღვარგარეთული ურთიერთობის ლაბორატორიის გამგე; 1992 წლიდან დღემდე არის ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის დირექტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი.

გამარჯვებული თემა:
„ვეფხისტყაოსანი – შექსპირისა და შექსპირის მემკვიდრეების წყარო“;

ელგუჯა ხინთიბიძე:

„ჩემი მოხსენება შეეხება იმ სიახლეს ქართულ ფილოლოგიაში, და, შეიძლება, ევროპულ ფილოლოგიაშიც, რომ „ვეფხისტყაოსანი“ შექსპირის მიერ გამოყენებულია სიუჟეტურ წყაროდ მის ერთ-ერთ პიესაში და ასევე შექსპირის მემკვიდრეების მიერ — თავიანთ პიესებში. ჩემ მიერ გამოვლენილია, რომ სამი პიესა, რომელიც მე-17 საუკუნის დასაწყისში ინგლისის ცნობილ სამეფო თეატრ „გლობუსში“ დაიდგა, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მიხედვითაა გაკეთებული. ეს მოულოდნელი სიახლეა. უკვე თანდათანობით დაიწყო ამის გამოვლენა. ამჯერად მე ვახმიანებ, რომ რამდენიმე წლის წინ „ვეფხისტყაოსნის“ გავლენა უკვე შექსპირის მემკვიდრეებზეც გამოვლინდა.”

წლის საუკეთესო დოქტორანტები

სერგი ჯორბენაძე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

2009-2010 სწავლობდა ბრემენის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში;

2011 წლიდან არის დოქტორანტი თსუ-ში და წერს სადოქტორო ნაშრომს თემაზე „ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში“.

იყო მეცხრე არხის იურიდიული სამსახურის დეპარტამენტის უფროსი.

ამჟამად არის გერმანული იურიდიული კომპანია „როდლი და პარტნიორების“ მთავარი იურისტი და ადვოკატი;

კითხულობს ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში;

გამარჯვებული თემა:
„რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე“

სერგი ჯორბენაძე:

„ჩემი მოხსენება ეხება, შარშან 2013 წლის აგვისტოში, ჩემ მიერ გამოცემულ წიგნს — „რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე“. წიგნში ასახულია სხვადასხვა პრობლემა, რომლებიც საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში გვხვდება. აქ გაერთიანებულია რეკლამის სამივე სახეობა: 1) სოციალური 2) პოლიტიკური 3) კომერციული. ფორუმზე წარმოვადგენ ძირითადი დასკვნებს, თუ რა სამართლებრივი წინაპირობები და პრობლემები გაჩნია თითოეულ მათგანს და როგორ შეიძლება მოწესრიგდეს კანონმდებლობაში ეს პრობლემები.“

ირაკლი დოღონაძე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი

გამარჯვებული თემა:
„საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობა, შედარებითი ანალიზი“.

ირაკლი დოღონაძე:

„ჩემი მოხსენება ეხება საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსს, რომელსაც ყოველწლიურად აქვეყნებს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი. ამ ინდექსის მიხედვით, საქართველო 148 ქვეყნიდან 72-ე ადგილზე იმყოფება. მნიშვნელოვანია ის, რომ შედარებით უარყოფითი, ნაკლები ქულები მივიღეთ ფინანსურ რესურსებზე წვდომასთან დაკავშირებით და განათლების დონესთან დაკავშირებით. ჩვენი კვლევაც სწორედ ამ საკითხებს ეხებოდა — რა არის პრობლემები ამ კონკრეტული მიმართულებით და რა უნდა გადაწყდეს იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას განათლების დონის ზრდა, რომელიც ეკონომიკური ზრდის გრძელვადიანი მამოძრავებელი ფაქტორია. ჩვენ ასევე შევეხეთ, თუ რა საკითხები უნდა მოგვარდეს იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას ფინანსურ რესურსებზე წვდომა, რომელიც ბიზნესისათვის მეტად მნიშვნელოვანია.“

ჯაბა უროტაძე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატი. არის სამართალმცოდნეობის დიპლომირებული სპეციალისტი.

მუშაობს საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის კომიტეტის აპარატში იურისტად.

გამარჯვებული თემა:
„საქართველოს საპენსიო პოლიტიკა და ალტერნატიული მოდელები“;

ჯაბა უროტაძე:

„მოხსენებაში მოცემულია, თუ რა პრობლემის წინაშე დადგება საქართველოს საპენსიო სისტემა და ქვეყნის საბიუჯეტო სფერო იმ შემთხვევაში, თუკი არსებული სისტემა შენარჩუნდება. ჩემი შეთავაზება არის, რომ ჩვენ შემოვიღოთ სავალდებულო კერძო დაგროვებითი სისტემა, რომლის ფარგლებშიც, როგორც დამსაქმებელი, ასევე დასაქმებული, ხელფასის გარკვეულ პროცენტს, სავალდებულო წესით, გადარიცხავენ კერძო საპენსიო ფონდებში. პენსიის ოდენობა დამოკიდებული იქნება ამ ფონდებში დაგროვილ თანხაზე და საინვესტიციო მოგებებზე, ანუ ამ ფონდების მიერ განხორციელებული ინვესტიციების შედეგად მიღებულ მოგებაზე. სახელმწიფო კი განახორციელებს მხოლოდ იმ ადამიანების საპენსიო უზრუნველყოფას, რომლებიც ვერ შეძლებენ საკმარისი თანხების დაგროვებას საკუთარი სიბერის უზრუნველსაყოფად. ამ შემთხვევაში საბიუჯეტო თანხები გაიზრდება და ღარიბ მოსახლეობაზე სახსრების მეტი გადანაწილების საშუალება იქნება“.

გიორგი ტეფნაძე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

გამარჯვებული თემა:
„შემოსაზღვრული ოპერატორები ჰარდის მარტინგალურ სივრცეებზე”.

გიორგი ტეფნაძე:

„ჩემი ნაშრომები ეძღვნება შემოსაზღვრულ ოპერატორებს ჰარდის მარტინალურ სივრცეებზე. ეს ჩვეულებრივი მკითხველისთვის ადვილი გასაგები და ასახსნელი არაა, მაგრამ, შემიძლია ვთქვა, რომ ამ მიმართულებით საკმაოდ ინტენსიური კვლევები მიმდინარეობს მრავალ ქვეყანაში, მაგალითად, უნგრეთსა და ჩინეთში. მე წარვადგინე შვიდი

მე-9 გვერდზე

სერგი ჯორბენაძე

ირაკლი დოღონაძე


ჯაბა უროტაძე

გიორგი ტეფნაძე

მარიამ ველიჯანაშვილი

აკაკი ჩიქობავა

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲤᲝᲠᲣᲛᲘ 2014

ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲓᲜᲔᲜ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠ-ᲛᲝᲛᲮᲡᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ

მერვე გვერდიდან

ნაშრომი, რომელთაგან ექვსი იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალშია დაბეჭდილი და, საბედნიეროდ, ამ ფორუმზე გამარჯვებაც მოვიპოვე. ჩემ ნაშრომში ასახულია წმინდა თეორიული შედეგები. მასში სხვადასხვა საშუალოების მაქსიმალური ოპერატორების შემოსაზღვრულობაა განმტკიცებული HP სივრცეებზე“.

მარიამ ველიჯანაშვილი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტი

2006 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. პროფესიით არის ნევროლოგი.

არის პალიატიური მზრუნველობის საქართველოს ეროვნულ ასოციაციის გენერალური მდივანი.

გამარჯვებული თემა:
„სიცოცხლის შეზღუდული ხანგრძლივობის გაცნობიერების პირობებში მოთხოვნილებებისა და პალიატიური მზრუნველობისადმი დამოკიდებულებათა გამოკვლევა“;

მარიამ ველიჯანაშვილი:
„პალიატიური მზრუნველობა არის ჯანდაცვის სპეციალური მიმართულება, რომელიც ეხება განუკურნებელი სენით დაავადებულ პაციენტებს, მათი სიცოცხლის ბოლო ეტაპზე სამედიცინო ზრუნვას მათზე. თუმცა, თანამედროვე მიდგომით, მზრუნველობა მხოლოდ სიცოცხლის ბოლო ეტაპს არ გულისხმობს, იგი ეხება მზრუნველობას მთლიანად, დაავადების დასაწყისიდან ბოლომდე. იგულისხმება, რომ ასეთი დარგის სპეციალისტმა უნდა მოახდინოს მათი მეთვალყურეობა და, შესაბამისად, სპეციფიკური მკურნალობა და სიმპტომების მართვა.

დღევანდელი ჩემი კვლევის თემა დოქტორანტურაში ეხება მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის მოდელის შემუშავებას საქართველოში. ჩვენ ვასაბუთებთ, რომ ამ დროს უნდა იქნას გათვალისწინებული სერვისის მომხმარებელთა დამოკიდებულება და ინტერესები. მარტივად რომ ვთქვა, რას ფიქრობენ ისინი თავიანთი თავის, და ზოგადად, ამ მზრუნველობის შესახებ, რისი მიღება სურთ. ზოგს შეიძლება სურდეს მხოლოდ ტკივილგამაყუჩებელი წამალი, ზოგს კი — უბრალოდ დალაპარაკება, თანადგომა ან, ვთქვათ, ის რომ სოციალურმა მუშაკმა ან ფსიქოლოგმა იაროს მასთან, ესაუბროს, ხელი შეუწყოს მის სოციალურ აქტივობას, მის ჩართულობას სოციუმში და ასე შემდეგ.

ამ კვლევაში მოიაზრება პაციენტების ორი ჯგუფი. ერთი არის 80 წელს გადაცილებული მოხუცები, რომლებიც მეტ-ნაკლებად ინარჩუნებენ სოციალურ აქტიურობას თავიანთი ასაკის მიუხედავად და ასევე აცნობიერებენ, რომ მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა ლიმიტირებულია მათი ასაკის გამო. მეორე არის ონკოლოგიური პაციენტების ჯგუფი, პაციენტებისა, რომლებმაც იციან თავისი დიაგნოზის შესახებ და ასევე აცნობიერებენ თავიანთი დარჩენილი სიცოცხლის ხანგრძლივობას.

კვლევა ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ რა კონტინგენტიც გამოვიკვლიეთ (15 პაციენტი), აღმოჩნდა, რომ მათ არ სურთ მხოლოდ ტკივილგამაყუჩებელი წამალი და ექთნის ვიზიტები სახლში. მათ უნდათ, იყვნენ სოციალურად აქტიურები და საზოგადოების მხრიდან დაფასებულები.

ჩვენ ვაპირებთ შევიმუშაოთ მოდელი, რომელიც გათვალისწინებული იქნება ჯანდაცვის პროგრამაში, როცა მოხდება ამ მოდელის მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის დამტკიცება. ეს უკვე დაგეგმილია.

პალიატიური მზრუნველობის სამოქმედო გეგმაში ასევე გაწერილია, რომ უახლოეს 2-3 წელიწადში უნდა მოხდეს ბავშვთა და მოხუცთა პალიატიური მზრუნველობის დამატება არსებულ პროგრამებზე. ამიტომ, როგორც კი ეს კვლევა დასრულდება, მონაცემები წარედგინება პარლამენტს“.

აკაკი ჩიქოგავა,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

გამარჯვებული თემა:
„ქართული პატრონყმობის თავისებურებები და მისი რეპრეზენტაცია დასავლეთ ევროპული ფეოდალიზმის ჭრილში“;

აკაკი ჩიქოგავა:
„სადისერტაციო თემად არჩეული მაქვს ფეოდალიზმის გენეზისი საქართველოში და მასთან დაკავშირებული, იმდროინდელი ევროპული ასპექტები. ჩემი მოხსენება ამ თემის ერთ-ერთი პატარა ნაწილია, რომელიც ეძღვნება, ქართული პატრონყმობის თავისებურებებსა და მისი რეპრეზენტაციას დასავლეთევროპული ფეოდალიზმის ჭრილში.

რატომ არის ეს თემა აქტუალური? ფეოდალიზმი უკვე ნაკვლევი თემაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ევროპაში დღესაც აქტიური დებატები მიდის — თვითონ კონცეპტი, ფეოდალიზმის სახელი, აღიარონ თუ რაღაც ახალი სახელი მოუძებნონ. ერთ-ერთმა ბრიტანელმა ისტორიკოსმა ძალიან ხატოვნად თქვა: „ფეოდალიზმი გავიდა ფანჯრიდან, რათა ისევ კარიდან შემოსულიყო.”

ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილმა თქვა, რომ ქართული პატრონყმობა საოცრად მიემსგავსება ამ ფორმას, რასაც ფეოდალიზმს ეძახიან. წარმოდგენილ თემაში საუბარი მაქვს უკვე შენიშნულ მახასიათებლებზე, რაც საქართველოში გვხვდებოდა, მაგრამ მაქვს ასევე შედარება, თუ რა ნიშნები არის საერთო საქართველოსა და დასავლეთ ევროპაში, შესწავლილი მაქვს როგორც გეოგრაფიული ადგილების, ასევე ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვების სემანტიკა“.

ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘ

მირანდა გაბელაია,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ფაკულტეტი, მაგისტრანტი

გამარჯვებული თემა:
„წამახვილებული ღეროს რხევის ერთი ამოცანის შესახებ იერარქიული მოდელების (0,0) მიახლოებაში“;

მირანდა გაბელაია:
„ჩემი დღევანდელი მოხსენების თემა ეხება წამახვილებული ღეროს რხევის ამოცანას და ვიყენებ ვეკუას იერარქიულ მოდელებს.“

თამარ ნაროუშვილი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის მაგისტრანტი

გამარჯვებული თემა:
„სარძევე ჯირკვლის კიბოს პირველადი პრევენცია და ქართველ ქალთა ინფორმირებულობის დონე“.

თამარ ნაროუშვილი:
„ჩვენი მოხსენება, რომელიც ჩემს მეგობრებთან ლამარა გრატიაშვილთან, ლიანა ნემსაძესთან, სალომე როდონაიასთან, თამარ მაისურაძესთან და ირაკლი ბახუტაშვილთან ერთად გავაკეთე, ეძღვნება „სარძევე ჯირკვლის კიბოს პირველად პრევენციას და ქართველ ქალთა ინფორმირებულობის დონის შეფასებას საქართველოში.” სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში ჩვენ ჩავერთეთ რამდენიმე კვლევაში. დღეს წარმოვადგინეთ ერთერთი კვლევის შედეგები. გვქონდა ასევე კვლევა „მოსახლეობის სამედიცინო სერვისებით კმაყოფილების დონის განსაზღვრა“, რომლის ფარგლებშიც ჩვენ შევისწავლეთ აკადემიური პერსონალის სადაზღვეო სერვისებით კმაყოფილების დონე ჩვენს უნივერსიტეტში. ამ კვლევების შედეგად საკმაოდ დიდი გამოცდილება მივიღეთ.”

ანა თოხაძე,
იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტი

გამარჯვებული თემა:
„დივიდენდის გაუცემლობა, როგორც მცირე აქციონერის ქონებრივი უფლების შეზღუდვა“;

ანა თოხაძე:
„ჩემი თემა დამუშავებულია საკორპორაციო სამართლის მიმართულებით, კერძოდ დივიდენდის გაუცემლობა, როგორც მცირე აქციონერის ქონებრივი უფლების შეზღუდვა. იგი შეეხება ისეთ თემას, როგორიცაა საზოგადოების ქონებრივი მატერიალური რესურსების უზრუნველყოფა და ეს საკითხი განხილულია მცირე აქციონერთა უფლების დარღვევის უფლების ჭრილში, თუმცა გამართლებული მაქვს იმ საფუძვლით, რომ ამგვარი შეზღუდვა მეტი სამართლებრივი სიკეთის დაცვას ემსახურება“.

თამუნა ჩხაიძე,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის მიმართულების მაგისტრანტი

გამარჯვებული თემა:
„სტიგმის უარყოფითი გავლენა აკადემიურ მიღწევებზე ეთნიკურ უმცირესობებში“

თამუნა ჩხაიძე:
„ამ მოხსენებაზე მუშაობა მე და ჩემმა მეგობარმა თინათინ ბანძელაძემ დავიწყეთ ჯერ კიდევ ბაკალავრიატში სწავლის დროს და შემდეგ მაგისტრატურაშიც გავაგრძელეთ მუშაობა. ჩემი კვლევის თემა იყო სტიგმის უარყოფილი გავლენა აკადემიურ მიღწევებზე ეთნიკურ უმცირესობებში“, ანუ რა გავლენას ახდენს ნეგატიური სტერეოტიპები მათ აკადემიურ მიღწევებზე. კვლევა ჩატარდა უცხოეთში ჩატარებული კვლევების მიხედვით, რომელიც ადასტურებს ჰიპოთეზას, რომ სტიგმა რეალურად ახდენს უარყოფით გავლენას და ამცირებს აკადემიურ მიღწევებს. იგივე შედეგები დასტურდება ქართულ სინამდვილეშიც.“

კახაბერ ყალიჩავა,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტი

გამარჯვებული თემა:
„გზა ომისაკენ — 2008 წელი იანვრიდან აგვისტომდე“;

კახაბერ ყალიჩავა:
„ჩემი თემა ეყრდნობა ძირითადად გაზეთ „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებულ მასალებს, თუმცა გამოყენებულია სხვა მასალებიც. თემა ძალიან აქტუალურია და იმ ჩარჩოშია მოთავსებული, რასაც გაზეთ „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებული მასალები იძლევა“.

მე-9 გვერდზე

მირანდა გაბელაია

თამარ ნაროუშვილი

ანა თოხაძე

თამუნა ჩხაიძე

კახაბერ ყალიჩავა

სამეცნიერო ფორუმი 2014

გამოვლინდნენ წლის საუკეთესო მეცნიერ-მომხსენებლები

მეშვიდე გვერდიდან

წლის საუკეთესო ბაკალავრები

სალომე შამათავა,
მედიცინის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი

გამარჯვებული თემა:
„არტერიული ჰიპერტენზია“

სალომე შამათავა:
„დღევანდელი ჩემი მოხსენების თემა არის „არტერიული ჰიპერტენზია.” ეს თემა საკმაოდ აქტუალურია, ვინაიდან მსოფლიოში 970 000 000 ადამიანია დაავადებული ამ სენით და მედიცინის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. დღეს მნიშვნელოვან სიახლეებს „გაიდლაინების” მიხედვით გავაცნობ მსმენელს “

მარიამ ღრეული,
ბარბარე გეთია,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების მესამე კურსის სტუდენტები

გამარჯვებული თემა:
„ავტორიტეტის გავლენა სამუშაოს შესრულება“

მარიამ ღრეული:
„ჩვენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ჩავატარეთ კვლევა. ძირითადი იდეა და ჰიპოთეზა იყო ის, რომ ავტორიტეტის გავლენით ადამიანები ხედავენ ისეთ რაღაცას, რასაც სხვა შემთხვევაში ვერ დაინახავდნენ. ჩვენი ექსპერიმენტის დროს ტექსტში არ იყო შეცდომები დაშვებული, მაგრამ ექსპერიმენტის მონაწილეებს მიეცათ მითითება, რომ შეცდომა უნდა ეპოვათ.... ჩვენი კვლევის ჰიპოთეზა გამართლდა“.

მარიამ ჯიბუტი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი

გამარჯვებული თემა:
„ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის საკვანძო საკითხები“

მარიამ ჯიბუტი:
„დღევანდელი მოხსენების თემაა „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის საკვანძო საკითხები.” დღეს სახელმწიფოს მხრიდან არ ხდება ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების სტიმულირება. რომ. ამ თემაში წარმოდგენილია 2013 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები და 2007 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებთან შედარებითი ანალიზი — თუ რამდენად შეიცვალა ამ პერიოდში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ დამოკიდებულება. ასევე წარმოდგენილია „თი-ბი-სი“ ბანკის კონკრეტული მაგალითი, სადაც უშუალოდ ნაჩვენებია, რა გავლენას ახდენს კომპანიის მიერ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობზე გაწეული ხარჯები მის წმინდა შემოსავლებზე. გამოკვეთილია ის ფაქტორები, რომლებიც ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას აბრკოლებს საქართველოში. გვაქვს შეთავაზებები და რეკომენდაციები, თუ როგორ შეიძლება ამ საკითხის მოგვარება.“

თორნიკე ნემსიწვერიძე,
იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი

გამარჯვებული თემა:
„ხვამლის ადგილი ფეოდალური საქართველოს მმართველობით სისტემაში“.

თორნიკე ნემსიწვერიძე:
„ჩემი მოხსენება არის სამართლის ისტორიიდან და ეხება ხვამლის ადგილს ფეოდალური საქართველოს მმართველობით სისტემაში. მასში მოკლედ არის განხილული, თუ რას წარმოადგენდა ხვამლი, ეს იყო სალარო, თუ საჭურჭლე და, აქედან გამომდინარე, რომელი უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტის დაქვემდებარებაში შედიოდა ის. თემაში სხვადასხვა ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გაკეთებულია დასკვნა, რომ ხვამლი უნდა ყოფილიყო სალარო და ის უნდა ყოფილიყო მოლარეთუხუცესის და მსახურთუხუცესის დაქვემდებარებაში“.

ოთარ სახელაშვილი,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულების სტუდენტი

გამარჯვებული თემა:
„ექვსგანზომილებიანი მემბრანული სამყარო“.

ოთარ სახელაშვილი:
„თემა არის ექვსგანზომილებიანი მემბრანული სამყარო მდგარი ტალღებით. ამ თემაზე ორი სტატია დაიბეჭდა, რომელთაგან ერთის ავტორი ვარ, მეორეს – თანაავტორი.

ეს რეალურად არის დამატებითი განზომილების შემოტანა, რომელიც რაღაც პრობლემების გადაჭრის საშუალებას იძლევა. სტატიაში ნაჩვენებია, რომ ექვსი განზომილება ფაქტორიზირდება ოთხ განზომილებაზე. ანუ ჩვეულებრივი სივრცე რჩება.”

მარიამ ნუცუბიძე,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

გამარჯვებული თემა:
„ΙΟΥΡΟΕΙΠΑΑΧ“

მარიამ ნუცუბიძე:
„ჩემი თემა ეხება კავკასიონზე მდებარე ერთერთ გადმოსასვლელს ΙΟΥΡΟΕΙΠΑΑΧ“, რომელიც ნახსენებია ორ ბიზანტიურ წყაროში. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, მის ლოკალიზაციას ახდენენ ან დარიალის კარში ან დარუბანდის კარში. ვახდენ, ახალ ლოკალიზაციას და სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით ვაკეთებ დასკვნას, რომ ეს არის ხევსურეთზე ჩეჩენ-ქისტეთიდან გადმოსასვლელი“.

მოამზადა
მაია ტორაძემ,
მარიამ ბერიამ,
ნათია სუხიტაშვილმა
და ფიქრია ფიჩხაძემ

სალომე შამათავა

მარიამ ღრეული

მარიამ ჯიბუტი

თორნიკე ნემსიწვერიძე

ოთარ სახელაშვილი

მარიამ ნუცუბიძე

ნილს ბორის კვანტური ფიზიკიდან პეტრე სარაჯიშვილის ნევროლოგიამდე

17 წლის ასაკში პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველკურსელი ნილს ბორის ლექციაზე გაყვა მეგობრებს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის დიდ აუდიტორიაში უამრავ მსმენელთა მსგავსად, ისიც კიბის საფეხურზე ჩამომჯდარი უსმენდა თანამედროვეობის უდიდეს დანიელ ფიზიკოსს, რომელიც ცოდნის წარმოშობისა და მისი ბუნების შესახებ საუბრობდა და ამბობდა, რომ ცოდნა ტვინის ბუნებით დეტერმინირებული მოთხოვნილებაა, რომელიც ადამიანს დაბადებით დაყვება. სწორედ ამ ლექციის შემდეგ გააკეთა ცხოვრებისეული არჩევანი რომან შაქარიშვილმა: გადაწყვეტილება მიიღო — მამის გზას დასდგომოდა და ადამიანის ტვინი შეესწავლა.

დღეს რომან შაქარიშვილი ცნობილი ნევროლოგია და მისი სამეცნიერო, პედაგოგიური, მენეჯერული და პრაქტიკული საქმიანობა მრავალი ჯილდოთი, პრემიითა და ტიტულით აღინიშნება, თუმცა, პირველ რიგში, იგი მაინც პეტრე სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პროფესორია. გარდა ამისა, ბატონი რომანი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი და საქართველოს ნევროლოგთა და ნეიროქირურგთა ასოციაციის, აგრეთვე ნევროლოგთა სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდენტია.

თითქმის ნახევარსაუკუნოვანი პროფესიული ბიოგრაფიისა და განვლილი გზის შესახებ საუბრისას ბატონი რომანი ძირითადად იმ პრობლემატიკაზე ამახვილებს ყურადღებას, რომლის წინაშეც ბოლო ათწლეულებში აღმოჩნდა ქართული ჯანდაცვის სისტემა, სამედიცინო განათლება და ნევროლოგია, რომელსაც საქართველში მდიდარი ტრადიციები და წარსული აქვს.

ადეკვატური აზრი

ინტერვიუ რომან შაქარიშვილთან

რომან შაქარიშვილი:

— მამა, რომლის მოსახელეც ვარ, ნეიროქირურგი იყო, ასევე, შესანიშნავი ქირურგი იყო ბაბუაჩემი, დედის მამა, თუმცა, მიუხედავად ამისა, სურვილი არ მქონდა — ოჯახური ტრადიციები გამეგრძელებინა და ოქროსმედალოსანმა საბუთები პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შევიტანე. ასე გავხდი ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის სტუდენტი. იმ პერიოდში უფროსი მეგობრები უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე სწავლობდნენ. სწორედ მათ შემატყობინეს, რომ უნივერსიტეტში მოწვეულნი ნილს ბორი და მისი ვაჟი ოგე ბორი აპირებდნენ საჯარო ლექციის წაკითხვას. ეს იყო 1961 წლის გაზაფხული.

ფიზიკის დიდ აუდიტორიაში რომ შევედი, იატაკზე ისხდა ხალხი, ნილს ბორმა მხოლოდ შესავალი სიტყვა წარმოთქვა და მისი მოსმენისას რაღაც ძალიან უცნაური მოხდა ჩემს გონებაში: როგორც მერე გავიგე, იმას, რის შესახებაც დიდი ფიზიკოსი საუბრობდა, მეცნიერებაში ეპისტემოლოგია ჰქვია — ეს არის ცოდნისა და მისი განვითარების შესახებ მოძღვრება. როგორც მაშინ ბორმა თქვა, ჩვენი აზროვნების სისუსტეს განაპირობებს ვიზუალურ მოდელზე დამყარებული ცოდნა, და ეს მაშინ, როდესაც კვანტური თეორია დომინანტურად მიიჩნევს არა სივრცობრივ-ვიზუალურ, არამედ სივრცობრივ-აბსტრაქტულ აღქმას. ანუ, ის, რომ ჩვენი ცოდნა ყველაფერს გარდაქმნის ვიზუალურად, თუმცა კვანტური ფიზიკა ამას გამორიცხავს და იგი ცოდნის აბსტრაქტულ მოდელს ქმნის. გადამწყვეტი ცოდნაში არის ცოდნის შინაგანი მოთხოვნილება, რომელზედაც დიდმა ფიზიკოსმა პირდაპირ თქვა, რომ ეს მოთხოვნილება ღმერთისეულია. ცოდნა არის მოტივაციური სფერო, ისევე როგორც კვება, როგორც სექსუალური ქცევა, გამრავლების იმპერატივი და ა.შ. ის არის ქვეცნობიერი ტვინის დეტერმინირებული მოთხოვნილება, მაგრამ აქ საინტერესო ის არის, რომ ეს მოთხოვნილება ერთნაირად მოიცავს როგორც ცოდნის შეძენის, ისე მისი გაცემის შინაგან სტიმულს. მოკლედ, ეს ყველაფერი რომ მოვისმინე, დავბრუნდი იმ ლექციიდან და მამაჩემს გამოვუცხადე, რომ პოლიტექნიკურიდან გამოსვლას და მედიცინის შესწავლას ვაპირებდი. გახარებული გადამეხვია. სწორედ ნილს ბორმა გააღვიძა ჩემში სურვილი — გავმხდარიყავი ექიმი, რადგან მე მისი ნაამბობი ტვინს დავუკავშირე და სამედიცინო ინსტიტუტშიც არა ზოგადად მედიცინის, არამედ სწორედ ნევროლოგიის დასაუფლებლად შევედი. ნილს ბორის ლექციის შემდეგ დღესაც ვთვლი, რომ ყველა ადეკვატურ გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს „ადეკვანტური აზრი". ისიც უნდა ითქვას, რომ მანამდე მამა და ბაბუა ირიბად ცდილობდნენ ჩემზე ზემოქმედებას. მაგალითად, „პროვოკაციულ" ლიტერატურას შემომაპარებდნენ ხოლმე წასაკითხად და დასაინტერესებლად. ასე წავიკითხე ვ. ვერესაევის „ექიმის ჩანაწერები", პ. კიუის „ბრძოლა შეშლილობასთან", რომლებმაც, ალბათ, ჩამისახეს საექიმო ჰუმანიზმის განცდა. საბოლოოდ, ბორის ლექციამ დააგვირგვინა ყველაფერი. უკვე მეექვსე კურსის სტუდენტი დავდიოდი სარაჯიშვილის ნევროლოგიის ინსტიტუტიში, სადაც მამაჩემის მეგობრები იყვნენ ნეიროქირურგები და მათი მადლიერი ვარ, რომ ჩამოვყალიბდი ნევროლოგად. სამწუხაროდ ჩემმა შვილებმა არ ისურვეს ნევროლოგობა. ჩემი ქალიშვილი ბიოლოგია, ჩემი ვაჟი განათლებით ექიმია, მაგრამ ნევროლოგობაზე უარი თქვა და გახდა ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის მკვლევარი. არის ოქსფორდის უნივერსიტეტის დოქტორი და დღეს ჟენევაში მუშაობს. იმედი მაქვს და მოხარული ვიქნები, თუ რომელიმე შვილიშვილი მაინც გადაწყვეტს ნევროლოგობას.

— დარგი, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ, საქართველოში საკმაოდ კარგად იყო განვითარებული. რა ტრადიციები აქვს ქართულ ნევროლოგიას, რა გზა გამოიარა და დღეს რა პრობლემების წინაშე დგას?

— საქართველოს შეუძლია იამაყოს, რომ ქართული ნევროლოგია სერთაშორისო მასშტაბით მოწინავეთა რიგში იყო. 1958-1959 წლებში, აკადემიკოს პეტრე სარაჯიშვილის ინიციატივით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში ნევროლოგიის ინსტიტუტი შეიქმნა, რომელიც მოგვიანებით საბჭოთა კავშირის ფარგლებში მოთავე ინსტიტუტად სცნეს ნევროლოგიის დარგში და გადაიყვანეს სსრკ-ს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში. გარდა ამისა, აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში ეს ინსტიტუტი ითვლებოდა ნევროლოგიის მექად. უამრავ საერთაშორისო კონფერენციასა და სიმპოზიუმზე ჩვენი ინსტიტუტის მოთავეობა იყო აბსოლუტურად უპირობო. სხვათა შორის, დღესაც, გარკვეულწილად, ვახერხებთ და ვინარჩუნებთ ამ პოზიციას. ჩემთვის დიდი პატივია იმ ინსტიტუტის ხელმძღვანელობა, რომელიც დიდი პეტრე სარაჯიშვილის სახელს ატარებს. საერთოდ, დღემდე ბატონი პეტრეს შეგირდობა მის აღზრდილთათვის ყველაზე დიდ პრივილეგიას წარმოადგენს. მრავალი ჯილდოს მფლობელი ვარ, ახლახან დამაჯილდოვეს ბრწყინვალების ორდენით, რისთვისაც დიდად მადლიერი ვარ, თუმცა ჩემთვის განსაკუთრებულად ძვირფასია ოქროს ნევროლოგიური ჩაქუჩი, რომელიც მაჩუქა ჩემმა დიდმა მასწავლებელმა, ბატონმა პეტრემ.

— ის უზარმაზარი სამეცნიერო პოტენციალი და ბაზა, რომელიც თავის დროზე სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიის ინსტიტუტში არსებობდა, სადღეისოდ რა მდგომარეობაშია?

— ცუდ სიტყვას კი ვხმარობ — დეგრადაციას, მაგრამ ვერ დავხუჭავთ თვალს! სამწუხაროდ, დამანგრეველმა ქარიშხალმა, რომელიც ბოლო პერიოდამდე მძვინვარებდა ჯანდაცვის სფეროში, ისევე როგორც მეცნიერებასა და განათლებაში, ჩვენი ინსტიტუტიც არ დაზოგა. სამედიცინო სფეროში დამახინჯებული კაპიტალიზმის დანერგვამ ინსტიტუტში ისეთი სამეცნიერო და კლინიკური ქვედანაყოფების გაქრობა გამოიწვია, რომლითაც ამაყობდა ჩვენი ქვეყნის მედიცინა: დაიკარგა და დაკნინდა მთელი რიგი მიმართულებები, რომელშიც პრიორიტეტს ვფლობდი: ფუნქციური ნეიროქირურგია, ჰოსპიტალური ეპილეფტოლოგია, ნეიროოფთალმოლოგია, ნეირორეანიმატოლოგია, ნეირომორფოლოგია, ექსპერიმენტული ნევროლოგია, ნევროლოგია. ინსტიტუტის შენობა და მთელი მისი ქონება გაიყიდა. საბედნიეროდ, დღეს კვლავ ვფუნქციონირებთ, როგორც კერძო სამეცნიერო კვლევითი და კლინიკური სუბიექტი კვლევისა და ამბულატორიული კლინიკური საქმიანობისათვის აკადემიკოს ფრიდონ თოდუას მიერ მეგობრულად დათმობილ ტერიტორიაზე. უკვე დავასრულეთ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები და ასამოქმედებლად მოვამზადეთ 30 საწოლზე გათვალისწინებული საკუთარი ჰოსპიტალური ბაზა, რომელიც მომავალი სასწავლო წლიდან ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტ-მედიკოსებს და რეზიდენტებს საშუალებას მისცემს — დაეუფლონ ნევროლოგიას სრულყოფილად აღჭურვილ გარემოში. ასევე, მეამაყება, რომ ინსტიტუტს აღმოაჩნდა უნარი — აღედგინა სამეცნიერო პოტენციალიც. ინსტიტუტი თაოსნობს საერთაშორისო კვლევის პროგრამებს; მონაწილეობს მულტიცენტრულ კლინიკურ კვლევებში; ხელმძღვანელობს სადოქტორო პროგრამებს და რეზიდენტების მომზადებას; იწვევს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს; არის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის სულის ჩამდგმელი ინსულტის მსოფლიო ორგანიზაციის ეგიდით, რომელიც ტარდება 3 წელიწადში ერთხელ. ჩვენი თანამშრომლების მიერ ყოველწლიურად ქვეყნდება ათობით ნაშრომი უცხოურ პერიოდიკაში, იქმნება ქართულენოვანი მონოგრაფიები.

— თქვენი ინიციატივით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღდგა მედიცინის ფაკულტეტი, რომელიც ჯერ კიდევ 30-იან წლებში ცალკე სასწავლო დაწესებულებად გამოეყო უნივერსიტეტს. როგორ გაჩნდა ეს ინიციატივა და ამჯერად რა ხდება ფაკულტეტზე?

— თსუ-ში მედიცინის ფაკულტეტის აღორძინება ჩემი და ჩემი რამდენიმე მეგობრის ინიციატივა იყო — 1992 წელს მაღალი სამეცნიერო და კლინიკური რეპუტაციის 8 კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა შევქმენით საინიციატივო ჯგუფი და დავაარსეთ თბილისის კლინიკური ინსტიტუტი. ეს იყო კერძო სასწავლო ინსტიტუტი. ამ საქმის ორგანიზატორიები ვიყავით: ფრიდონ თოდუა, ლაურ მანაგაძე, არჩილ ხომასურიძე, ბონდო ქობულია, გია გოკიელი, ბესიკ იაშვილი, სიმონ ხეჩინაშვილი და მე. ამირჩიეს ამ ახლადშექმნილი სასწავლო ინსტიტუტის დირექტორად. ერთი წლის განმავლობაში ჩვენ არ მიგვიღია სტუდენტი, ვმუშაობდით სასწავლო პროგრამებზე და ვამზადებდით ნიადაგს საიმისოდ, რომ სასწავლო ინსტიტუტი ყოფილიყო სამედიცინო განათლების გამართული ცენტრი, რომელიც იმ პერიოდისათვის ერთადერთი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მძლავრ და ჯანსაღ ალტერნატივას შექმნიდა.

— რატომ გახდა აუცილებელი ალტერნატიული სასწავლო დაწესებულების შექმნა?

— მისი შექმნის აუცილებლობა განაპირობა იმან, რომ სამედიცინო განათლება უკვე შედიოდა მძიმე კრიზისში, ასევე ჯანდაცვის სისტემაც უკვე დეგრადაციის გზაზე იდგა. ჩვენ ვამჩნევდით, რომ ქართულ სამედიცინო საზოგადოებასა და ევროპულ სამედიცინო საზოგადოებას შორის სამედიცინო კომპეტენციის კონტრასტი იზრდებოდა. ნათელი იყო, რომ ამ ნაპრალს, პირველ რიგში, განაპირობებდა განსხვავება საბაზისო სამედიცინო განათლებაში. ამასთან, გაჩნდნენ დიდი რაოდენობის რეალურ პოტენციალს მოკლებული კერძო სამედიცინო ინსტიტუტები, უნივერსიტეტები, ფაკულტეტები და ა.შ. მიმდინარეობდა უმაღლესი სამედიცინო განათლების სრული პროფანაცია. საჭიროდ ჩავთვალეთ კომპრომეტირებული უმაღლესი სამედიცინო განათლების რეაბილიტაცია და რადგან განათლებაში უნდა არსებულიყო კერძო სექტორიც, ის უნდა ყოფილიყო რეალური და ხარისხიანი. ამიტომ, შევქმენით საუნივერსიტეტო სამედიცინო კლინიკების ასამბლეა, რომელშიც გაერთიანდა 19 სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტი და ცენტრი. აღნიშნული კლინიკური ბაზები უფრო მძლავრი აღმოჩნდა, ვიდრე სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტს გააჩნდა იმ პერიოდში, რადგან მასში გაერთიანდა იმ დროს ფართო სპექტრის ყველაზე მოწინავე სამედიცინო დაწესებულება, რომელიც ცალკეული დარგის ლიდერად იყო აღიარებული ჩვენს ქვეყანაში. კლინიკური მედიცინის ინსტიტუტის შექმნას ძალიან დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდეთ. კერძოდ, პირველივე ეტაპზე მისაღებ გამოცდებზე მოვიწვიეთ სწორედ ის სპეციალისტები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მისაღებ გამოცდებში ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში. ჩვენი სასწავლო დაწესებულების არსებობის მეორე წლისთავზე გაჩნდა აზრი — ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტთან ინტეგრირების თაობაზე და ამის შესახებ იმავე წელს მივმართეუნივერსიტეტის მაშინდელ რექტორს, აკადემიკოს როინ მეტრეველს. ამ იდეაში მან საინტერესოდ ჩათვალა ის, რომ უნივერსიტეტში საფუძველი ჩაეყრებოდა სამედიცინო განათლების აღორძინებას და შეიქმნებოდა პრეცედენტი საუნივერსიტეტო სამედიცინო განათლებისა. თავის დროზე, 1927 წელს, როდესაც უნივერსიტეტიდან გადაიტანეს სამედიცინო ფაკულტეტი, ეს ნაკარნახები იყო სახელმწიფოში სამედიცინო კადრების დეფიციტით და მათი ფორსირებულად შედარებით გამარტივებული და შემოკლებული სასწავლო პროგრამებით მომზადების სურვილით. უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტის აღორძინებით კი მოხდებოდა დასავლური ტიპის უმაღლესი საუნივერსიტეტო სამედიცინო განათლების აღორძინება. გარდა ამისა, ჩვენ უკვე გვქონდა სახელმწიფო ლიცენზია და გვყავდა საკუთარი სტუდენტების კონტიგენტი.მართალია, ეს უნივერსიტეტისათვის გარკვულ რისკთან დაკავშირებული გადაწყვეტილება იყო, მაგრამ საზოგადოებამ აღნიშნული გადაწყვეტილება დადებითად აღიქვა და რექტორატის ძალისხმევას მხარი აუბა. ასე შევედით უნივერსიტეტში. ეს იყო 1995 წელი. თავდაპირველად ვიყავით ფაკულტეტთან, რომელსაც ეწოდა ბიოლოგიისა და მედიცინის ფაკულტეტი. სამი წლის შემდეგ კი გავხდით მედიცინის დამოუკიდებელი ფაკულტეტი.

— ამჟამად რა ხდება ფაკულტეტზე და სადღეისოდ რა შედეგები გაქვთ?

— უნდა ვაღიარო, რომ იმედები და ოცნება, რომელიც ფაკულტეტის შექმნასთან იყო დაკავშირებული, დიდწილად ოცნებად დარჩა, მაგრამ ამის მიზეზი გარდამავალი ეკონომიკისა და სოციალური გარემოს სპეციფიკაში უნდა ვეძებოთ, რომელმაც კულტურული და საგანმანათლებლო ცხოვრების მრავალმხრივი დეფორმაცია გამოიწვია. ამან დაღი დააჩნია როგორც ჩვენი ადაპტაციის პროცესს, ისე მთლიანად უმაღლესი განათლების სისტემას საქართველოში. ამასთან, უკვე ძალიან დრამატულად დგას ჯანდაცვის პრობლემები. საგრძნობია როგორც ინტელექტუალური, ისე მატერიალური რესურსის დეფიციტი, რომელმაც, თავის მხრივ, გარკვეულ სტაგნაციამდე მიიყვანა სამედიცინო განათლება. დღევანდელი ჯანდაცვის სისტემის ორგანიზაცია და რეფორმა ძალიან რთულ მდგომარეობაში აყენებს კლინიკის არსებობას, რაც თავის მხრივ აისახება სამედიცინო განათლების ხარისხზე.

— რომელ რეფორმას გულისხმობთ?

— ამ რეფორმას მრავალი ეტაპი აქვს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ჯანდაცვის რეფორმის ყველა მცდელობა ნაკლოვანი იყო და დღემდე ამის შედეგებს ვიმკით. ამჟამად ჯანდაცვა მთლიანად არის კერძო სექტორში გადასული, სამედიცინო დაწესებულების მფლობელი კი ნაკლებადაა დაინტერესებული კლასიკური გაგების კლინიკის არსებობით. მისთვის მნიშვნელოვანია პაციენტების მაღალი ნაკადი, რაც უზრუნველყოფს ეფექტურ შემოსავლებს. ასეთ დროს ფინანსური ბრუნვა იზრდება, მაგრამ ჰოსპიტალიზებული პაციენტების რიცხვი და მათი საწოლზე დაყოვნების პერიოდი მცირდება. ზოგადად, საუნივერსიტეტო კლინიკა უნდა წარმოადგენდეს ჰოსპიტალიზებული პაციენტების, საპროფესორო შემადგენლობის და სტუდენტების შეხვედრის ადგილს. სამწუხაროდ, ჩვენში ახლადშექმნილი მძლავრი კლინიკების მესვეურთა ეკონომიკურ ინტერესებში არ შედის ასეთი ადგილის არსებობა. მხოლოდ საუნივერსიტეტო კლინიკის პირობებში შესაძლებელია პროფესიული განათლების მაღალხარისხოვანი მიღება და უწყვეტი პროფესიული განვითარება, როგორც პრე, ისე პოსტდიპლომურ დონეზე. ჩვენს პირობებში ვირტუალურია ეს ყველაფერი.

— სულ ახლახან 70 წელი შეგისრულდათ. როგორი გეგმებით ხვდებით ამ თარიღს?

— ეს არის მთელი ჩემი ცხოვრების კულრიოზი. დაბადებული ვარ 18 აპრილს, მაგრამ საბუთებში დაბადების დღედ ფიქსირებულია 5 ივლისი. ჩემი იუბილეს პომპეზურად აღნიშვნა მკრეხელურად მიმაჩნია, რადგან გასულ ნოემბერს მეუღლე გარდამეცვალა და, ვინაიდან, წელს, ჩემს მასწავლებელს — პეტრე სარაჯიშვილს დაბადებიდან 120 წელი უსრულდება, მის მიერ დაარსებულ ნევროლოგიის ინსტიტუტს კი – 55, გადავწყვიტე, ეს იყოს საიუბილეო თარიღი ყველასათვის, ვინც ნევროლოგიასთან კავშირშია და სარაჯიშვილის სკოლის პირმშოა. ივლისში აღვნიშნავთ ამ საიუბილეო თარიღებს და შესაძლებელია იქ ნახსენები იყოს ჩემი 70 წლისთავიც. იმ პერიოდისათვის დაგეგმილი გვაქვს კონფერენცია და ინსტიტუტის ჰოსპიტალური ბაზის საზეიმო გახსნა. ჩვენს ასოციაციას დაწესებული აქვს პეტრე სარაჯიშვილის სახელობის პრემია, ვაპირებთ ამ პრემიების გაცემას ნეირომეცნიერების დარგში წარჩინებული მოღვაწეობისათვის.

მოამზადა **ლელა კურდღელაშვილმა**

სტუდენტ-არქეოლოგთა კონფერენცია ვარძიაში

11-14 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის ორგანიზებით ვარძიაში გაიმართა სტუდენტ-არქეოლოგთა რიგით VI საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც არქეოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელს – აუგუსტუს ჰენრი ლეინ ფოქს პიტ რივერსს მიეძღვნა.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ: ოქსფორდის, ინსბრუკის, ედინბურგის, ვარშავის, ლოძის, ტორუნის, ანკარის, თეირანის, დურჰამის, ლეიდენის, მელბურნისა და იენას უნივერსიტეტების, აგრეთვე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და პოლონეთის აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლები.

სამეცნიერო კონფერენციის გახსნას დაესწრო უნივერსიტეტის დელეგაცია, რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ხელმძღვანელობით.

კონფერენცია ყოველწლიურია. მონაწილე სტუდენტთა მოხსენებებს კი მკაცრი ჟიური აფასებს, რომელსაც ტრადიციულად წელსაც ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, კონფერენციის მუდმივი თავმჯდომარე მაიკლ ვიკერსი ხელმძღვანელობდა. ჟიურის წევრები იყვნენ: პროფესორი ვახტანგ ლიჩელი (კონფერენციის დამაარსებელი და ორგანიზატორი, თბილისი), პროფესორი ებერჰარდ ზაუერი (ქართულ-შოტლანდიური ერთობლივი ექსპედიციის ხელმძღვანელი, ედინბურგი), პროფესორი ვალტერ კიუნტნერი (ქართულ-ავსტრიული ერთობლივი ექსპედიციის ხელმძღვანელი, ინსბრუკი);

კონფერენციის დაფინანსება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად, კავკასიის სამთო ჯგუფმა უზრუნველყო.

მაია ტორაძე

პიტ რივერსი, რომლის სახელსაც ატარებს სტუდენტ-არქეოლოგთა ვარძიის საერთაშორისო კონფერენცია, მსოფლიოში ცნობილი XIX საუკუნეში მოღვაწე არქეოლოგი გახლდათ. იგი გახლდათ პიროვნება, რომელმაც შექმნა არქეოლოგიური საველე ძიების უმთავრესი მეთოდი ე.წ. სტრატიგრაფიული მეთოდი, რომელსაც გვერდს დღესაც ვერავინ აუვლის. ოქსფორდის უნივერსიტეტში არსებობს პიტ რივერსის მიერ დაარსებული უზარმაზარი არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელიც ერთ-ერთი დიდი სასწავლო ცენტრია. ამ მუზეუმში არის თავმოყრილი მთელი მსოფლიოს მატერიალური კულტურა, რასაც პიტ რივერსმა საკუთარი ხარჯებით მოუყარა თავი. ამდენად, არქეოლოგების აზრით, იგი იმსახურებს, რომ ახალგაზრდა არქეოლოგები სწორედ მას უძღვნიდნენ ამგვარ ღონისძიებებს.

როგორც პროფესორი ვახტანგ ლიჩელი აღნიშნავს, კონფერენციისთვის მზადება მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს, საბოლოოდ კი ის მოხსენებები ირჩევა, რომელიც მაღალი დონის სამეცნიერო სტანდარტებს აკმაყოფილებს. მოხსენებათა შერჩევის ეს მეთოდი წარმატებული აღმოჩნდა, რადგან ორგანიზატორებმა სწორედ ამ დღეებში მიიღეს წერილი კონფერენციის ხელმძღვანელის მაიკლ ვიკერსისაგან, რომელიც კმაყოფილებას გამოთქვამს მაღალ დონეზე ჩატარებული სამეცნიერო კონფერენციის გამო. იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ წელს წარდგენილი სტუდენტური მოხსენებები ბევრად უფრო მაღალი სტანდარტისა იყო, ვიდრე გასულ წელს.

„ეს იყო ჩვენი მეექვსე შეხვედრა. ადრინდელ კონფერენციებზე ქართველ სტუდენტებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ სათანადო პრაქტიკა და ეს აშკარად იგრძნობოდა — ისინი ჩამორჩებოდნენ ევროპელ სტუდენტებს, მაგრამ ბოლო სამი წლის მანძილზე, ჩვენები არათუ იგივე სტანდარტის მოხსენებებს აკეთებენ, არამედ ბევრ შემთხვევაში ევროპელებზე უკეთესებსაც. ამას განაპირობებს ის პრაქტიკული სამუშაოები, რომელშიც ჩართულნი არიან სტუდენტები. ისინი ძირითადად ჩვენს ექსპედიციებში საკუთარი ხელით მოპოვებულ მასალებზე მუშაობენ. ყველა ეს ექსპონატი სრულიად ახალია. მათ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოაქვთ ახალი მასალები თავისი ინტერპრეტაციებით. საერთოდ, უნდა ითქვას ისიც, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოიმატა სამეცნიერო კვლევებისადმი მოთხოვნამ და სტანდარტებმაც აიწია. ამან განაპირობა, რომ ჩვენი სტუდენტები უკვე სრულიად თავისუფლად ებმებიან კონკურენციაში ნებისმიერი უნივერსიტეტის სტუდენტებთან“, — განაცხადა პროფესორმა ვახტანგ ლიჩელმა.

თავად ის ფაქტი, რომ ამგვარი მნიშვნელოვანი სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც წელს 50-მდე უცხოელი მონაწილეობდა, ტარდება უძველესი უნიკალური ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლის – ვარძიის ტერიტორიაზე, უკვე ბევრს მეტყველებს. ამით, ფაქტობრივად, ორი საქმე კეთდება — ერთი, რომ სტუმრები, რომლებიც ჩამოდიან საქართველოში, უშუალოდ ხუროთმოძღვრულ კომპლექსში ატარებენ სამუშაოებს და მეორე — ეს გარკვეული პროპაგანდაა ქართული კულტურისა. სწორედ ეს არგუმენტები აქვს ბატონ ვახტანგ ლიჩელს, რომელიც მიიჩნევს, რომ ვარძიაში ყველა პირობაა შექმნილი ასეთი ღონისძიებების გამართვისთვის და თუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ბევრი სხვა ორგანიზაციაც მიბაძავს, ეს ქართული კულტურის პოპულარიზაციას დიდად შეუწყობს ხელს.

რაც შეეხება კონფერენციის სამეცნიერო დონეს, როგორც ქართველმა, ისე უცხოელმა მეცნიერებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ მოხსენებები, რომლებიც კონფერენციაზე იყო წარმოდგენილი, საკვლევი თემების ძალზედ ფართო არეალს მოიცავდა. აქ თემატიკა იწყებოდა ქვის ხანიდან და გრძელდებოდა შუა საუკუნეების ჩათვლით პერიოდამდე. ასევე ფართო იყო გეოგრაფიული არეალიც — მოხსენებები შეეხებოდა საქართველოს მეზოლითის პერიოდს, ურის სამეფო სამარხებს, ფაზისის ლოკალიზაცის საკითხებს, ასევე ლათინო-ამერიკულ, კერძოდ, მექსიკის პრობლემას — ტარასკანის იმპერიას, რომელიც ლეიდენის უნივერსიტეტის სტუდენტმა წარმოადგინა. მოხსენებები ეყრდნობოდა ყველაზე თანამედროვე სტანდარტებს, რომელშიც დასკვნები უახლესი სამეცნიერო მიღწევების გამოყენებით გაკეთდა.

„მინდა რამდენიმე მომენტს გავუსვა ხაზი — ერთერთი მთავარი ის იყო, რომ, ტრადიციულად, ამ კონფერენციაზე მოხსენებები გარკვეული კონკურსის სახეს ატარებს და, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ საუკეთესო მოხსენებებს სერტიფიკატებით არ გამოვყოფთ, მათი შეფასებებისას, რომელიც იქვე კეთდება, აღინიშნება, თუ ვისი მოხსენება როგორია. სწორედ ამ საქმეში ძალიან აქტიურად არის ჩართული ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი მაიკლ ვიკერსი, რომელიც დაკავშირებულია ქართულ არქეოლოგიასთან. ბატონმა მაიკლმა, მაშინ, როცა ქართულ არქეოლოგიას ძალიან უჭირდა, მოახერხა, რომ ოქსფორდის უნივერსიტეტის დახმარებით 13 წელი აფინანსებდა ქობულეთ-ფიჭვნარის არქეოლოგიურ სამუშაოებს, რომელიც ერთერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ძეგლია საქართველოში. გარდა ამისა, იგი ცდილობს, ხელი შეუწყოს ქართველ სტუდენტობას. ჩავთვალე, რომ იგი იქნებოდა საუკეთესო კანდიდატურა კონფერენციის მუდმივი თავმჯდომარის პოსტზე და ბატონი მაიკლი დიდი სიამოვნებით აკეთებს ამას. ის აქ არის მაშინ, როცა ჩვენ გვჭირდება,“ — განაცხადა ვახტანგ ლიჩელმა.

მანვე კიდევ ერთ გარემოებას გაუსვა ხაზი: კონფერენციაში მონაწილეობის სურვილი სტუდენტებთან ერთად ბევრმა პროფესორმაც გამოთქვა, მაგრამ საორგანიზაციო ჯგუფმა მხოლოდ ერთ მათგანს — ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორს ებერჰარდ ზაუერს მისცა უფლება წარმოედგინა თავისი მუშაობის შედეგები. „ეს განპირობებულია იმით, რომ ჩვენს უნივერსიტეტს ედინბურგის უნივერსიტეტთან გაფორმებული აქვს 5-წლიანი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ჩვენ უკვე მეორე წელია ვაწარმოებთ არქეოლოგიურ სამუშაოებს სტეფანწმინდის მიდამოებში“, — აღნიშნა ვახტანგ ლიჩელმა

სტუდენტ-არქეოლოგთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 2 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. მისავე ფარგლებში გაიმართა დროებითი არქეოლოგიური გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ არქეოლოგიური სამუშაოების დროს მოპოვებული არტეფაქტები ქვის ხანიდან შუა საუკუნეებამდე.

მომავალი წლის აპრილში ახალგაზრდა არქეოლოგები კვლავ შეიკრიბებიან. მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა საორგანიზაციო კომიტეტს საშუალებას აძლევს, მცირეოდენი კორექტივი შეიტანოს მისი მუშაობის რეგლამენტში და ერთი დღე დაამატოს, რომ სტუმრებმა ახლომდებარე არქეოლოგიური ძეგლების დათვალიერებაც შეძლონ.

სოციალური მუშაკის როლი

შურთხია ბეროშვილი

„სოციალური მუშაკის როლი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში - საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება“, — ამ თემაზე გაიმართა საჯარო ლექცია 23 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც ბრიტანელმა ექსპერტმა კრიმინოლოგიასა და სოციალურ მუშაობაში ენდრიუ ბერნჰარდმა წაიკითხა. საჯარო ლექციას დაესწრნენ თსუ-სა და ისუ-ის სოციალური მუშაობის პროგრამების სტუდენტები, სხვადასხვა სახელმწიფო უწყების (სასჯელაღსრულების დაწესებულებები, პრობაციის ეროვნული სააგენტო, დანაშაულის პრევენციის ცენტრი) სოციალური მუშაკები, სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წევრები, სოციალური მუშაობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის პროფესორ-მასწავლებლები.

საჯარო ლექცია ორგანიზებული იყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციასთან თანამშრომლობით.

ღონისძიების ერთერთი ორგანიზატორის, პროექტის მენეჯერის ლალი ჩხეტიას ინფორმაციით, საჯარო ლექციაზე ბრიტანელმა ექსპერტმა ისაუბრა სისხლის სამართლის როლზე მართლმსაჯულების სისტემაში, ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მიმოიხილა ამჟამად წარმატებული მეთოდები ამ სფეროში. ანუ როგორ მუშაობენ ისინი სამართალდამრღვევებთან ერთად, როგორ ხდება დანაშაულის პრევენცია ინდივიდუალური მუშაობის შედეგად და სხვა.

როგორც ღონისძიებაზე აღინიშნა, საქართველოში უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა სოციალური მუშაკების როლის აღიარება. სოციალური მუშაკების ბენეფიციარები ბავშვთა კეთილდღეობის, პრობაციისა და სასჯელაღსრულების, ჯანდაცვის, განათლების, ოჯახური ძალადობისა და ტრეფიკინგის სფეროებში სირთულეების დასაძლევად და მათი ცხოვრებისეული პერსპექტივების რეალიზებისთვის მუშაობენ. სოციალური მუშაკებისა და მათი ბენეფიციარების ეს ძალისხმევა კიდევ უფრო გართულებულია ეკონომიკური კრიზისის, სიღარიბისა და უთანასწორობის გამო.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის თანადამფუძნებლის, თსუ-ის სოციალური მუშაობის მიმართულების ასისტენტ პროფესორის სალომე ნამიჭეიშვილის თქმით, ბოლო პერიოდის მანძილზე საქართველოში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში სოციალური მუშაკის როლი იზრდება, რაც მნიშვნელოვანია ამ სფეროს ჰუმანიზაციისთვის. საქართველოს მთავრობამ გამოხატა მზადყოფნა შექმნას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ევროპული სტანდარტების შესაბამისი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის არსებობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია სოციალური მუშაობის ინტეგრირება ამ სფეროში. „ვცდილობთ, სასწავლო პროგრამა მოვარგოთ ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს. ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერა ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია, რათა შევიმუშაოთ კურსი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში სოციალური მუშაკის როლის შესახებ. ამიტომ იქმნება სახელმძღვანელო სოციალური მუშაკებისთვის, რომელიც სექტემბერში იქნება მზად, მანამდე კი, საშუალება გვაქვს, ევროკავშირის პროექტის ექსპერტები მოვიწვიოთ და მათი გამოცდილება გავიზიაროთ“, — აღნიშნა სალომე ნამიჭეიშვილიმ.

როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს, ასეთი ლექციები მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მათ საშუალება ეძლევათ უფრო მეტი გაიგონ ევროპული გამოცდილების შესახებ.

კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტში

უკანასკნელი წლების განმავლობაში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების სფეროში გატარებულმა დაუგეგმავმა და ნაჩქარევმა რეფორმებმა დიდი ზიანი მოუტანა როგორც გარემოს, ისე საქართველოს მოსახლეობას. ბუნებრივი რესურსების მართვა გაიგივებული იყო ბუნებრივი რესურსების ლიცენზირებასთან და ეს ფუნქცია ხან ერთ, ხან მეორე სამინისტროს გადაეცემოდა. არადა, თუ კარგად შევისწავლით და ეფექტურად გამოვიყენებთ ქვეყანაში არსებულ უამრავ ბუნებრივ ნედლეულს, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება გარდაუვალი გახდება.

არსებული მიზნის მიღწევა ქვეყანაში არსებული სანედლეულო ბაზის პოტენციალის შეფასებისა და მისი მაქსიმალურად გამოყენების საფუძველზეა შესაძლებელი. ამ მიმართულებით დღეს წარმატებით მუშაობს კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი, რომელიც დაარსებულია 1929 წელს, გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ალექსანდრე თვალჭრელიძის მიერ. ინსტიტუტმა ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი რამდენიმე პროექტი უკვე განახორციელა და მისი სამეცნიერო მიღწევები პრესტიჟული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამეცნიერო წრეების მიერ მრავალჯერ არის აღიარებული და დაჯილდოებული.

როგორც კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი რევაზ კვატაშიძე აცხადებს: „ქვეყნის წიაღი და მასში განთავსებული სასარგებლო წიაღისეული სახელმწიფოს საკუთრებაა, მისი სიმდიდრეა, სახელმწიფოს მყარი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი გარანტი და დასაყრდენია! ამდენად, წიაღით სარგებლობის სახელმწიფო რეგულირება, მათ შორის, სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიური შესწავლა, მისი ქიმიური შემადგენლობის კვლევა და გადამუშავების ტექნოლოგიების შემუშავება ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს“.

ამჟამად რევაზ კვატაშიძის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს პროექტი „ბოლნისის მადნიანი რაიონის ოქროს სამრეწველო პოტენციალი და მოპოვების ეკოლოგიური პრობლემები“. იგი აქტიურად მონაწილეობდა აგრეთვე ჩრდილო კავკასიის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიებზე გეოლოგიური აგებულებების შესწავლაში.

ინსტიტუტის საქმიანობის, გეგმების, წარმატებებისა და პრობლემების შესახებ ვესაუბრეთ კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორს რევაზ კვატაშიძეს, რომელიც აღნიშნულ თანამდებობაზე 2006 წლიდან მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში ინსტიტუტმა რამდენიმე მნიშვნელოვანი საინტერესო პროექტი განახორციელა, თუმცა იყო იმედგაცრუებაც და მატერიალური ზარალით გამოწვეული სირთულეებიც.

თამარ დადიანი

— ჩვენი მიზანია, საქართველოს წიაღში არსებული ყოველგვარი მინერალური წარმონაქმნი ან მისი ფრაგმენტი ამა თუ იმ დანიშნულების სასარგებლო ნამარხად ვაქციოთ, რათა ქვეყანა სწრაფად დაადგეს ეკონომიკური აღმავლობის გზას.

მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტს გააჩნია რესურსი — ჩვენი ქვეყნის წიაღისეულის საბადოებს მისცეს ზუსტი ფასეულობითი გამოსახულება, მოახდინოს მათი კაპიტალიზაცია (კაპიტალიზირებული აქციების მოცულობა, საექსპერტო შეფასებით, 10 წლის განმავლობაში 60 მილიარდ დოლარს შეადგენს). მინერალურმა რესურსებმა, როგორც ზუსტად შეფასებულმა ქონებამ, უნდა იმოქმედოს საერთაშორისო ბაზარზე, შექმნას დამატებითი საბანკო ღირებულება და ხელი შეუწყოს ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის გატარებას, რაც საქართველოს გეოლოგიური და ეკონომიკური სამსახურების ერთობლივი ძალისხმევით უნდა მოხდეს.

ინსტიტუტს თავისი არსებობის განმავლობაში კვლევებით აქვს მოპოვებული მდიდარი ფაქტობრივი მასალა საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ჩრდილო კავკასიის ტერიტორიებზე გავრცელებული სხვადასხვა სახის სასარგებლო ნამარხების, ფერადი, იშვიათი ძვირფასი ლითონების, არალითონური (ქიმიური მრეწველობის ნედლეული, სამშენებლო მასალები, მოსაპირკეთებელი ბუნებრივი ქვები, აგრონომიული მადნები) და სათბობ-ენერგეტიკული ნედლეულის (ნახშირები, გაზი და ნავთობი ნაწილობრივ) ქიმიური შემადგენლობისა და გადამუშავების ტექნოლოგიების შესახებ.

ბოლო წლებში ჩვენი საქმიანობა კავკასიის ფარგლებს გასცდა. მჭიდრო და კეთილგანწყობილი ურთიერთობა დავამყარეთ თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო და ბიზნეს სტრუქტურებთან. ყურადსაღებია აგრეთვე ჩეხეთის

რესპუბლიკისა და ისრაელის მხრიდან გამოჩენილი დაინტერესება ჩვენს ინსტიტუტში ჩატარებული სამუშაოების თაობაზე.

2010-2012 წლებში სპეციალისტები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში მდებარე მსხვილი ობიექტის — მივერუდის საბადოს გეოლოგიურ-გეოფიზიკურ შესწავლასა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებაში. ამასთანავე, ინსტიტუტის ქიმიური და ტექნოლოგიური პროფილის განყოფილებაში ტარდებოდა დასახელებული საბადოს ოქროს შემცველი მადნების ტექნოლოგიური სინჯებისა და მათი გამდიდრების პროდუქტების ნივთიერი შემადგენლობის დადგენა. სწორედ ამ კვლევების საფუძველზე იგეგმება ირანში, მივერუდის საბადოს ტერიტორიაზე, მსხვილი სამთო კომბინატის მშენებლობა. ასევე მზადდება ნიადაგი აშშ-ს სახელმწიფო დაქვემდებარების ერთერთ მსხვილ სამეცნიერო ცენტრთან ერთად ერთობლივი კვლევების ჩასატარებლად.

ინსტიტუტის საქმიანობით დაინტერესდა და ჩვენგან დამოუკიდებლად მოიპოვა ინფორმაცია უსინესს Iნიტიატივე ირეცტიონს (.I.)-მა, რომელმაც, შესრულებული სამუშაოების მაღალი ხარისხის გამო, ჩვენი ინსტიტუტი საკუთარი პრიზითა და სერთიფიკატით (ოქროს ნომინაციაში) დააჯილდოვა. პრიზი ლონდონში, 2009 წლის დეკემბერში გადმოგვეცა, ამასთანავე, ინსტიტუტს მიენიჭა ხმის უფლება ამ ორგანიზაციაში გადაწყვეტილებების მიღების დროს. ჩვენთან ერთად, პრიზი გადაეცათ ისეთ პრესტიჟულ კომპანიებს, როგორიცაა მერსედესი, აუდი, მოტოროლა, ასევე „შ“-ს კოლექტივს, გაზპრომს, არაბეთის უმსხვილეს ფოლადისმწარმოებელ კომპანიას და სხვა. ამ ორგანიზაციას ადრეულ წლებში დაჯილდოვებული ყავს აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტები ბილ კლინტონი და ჯორჯ ბუში. ყოველივე ამის შემდეგ, ამავე ორგანიზაციამ მადრიდში გამოსცა ჟურნალი, რომლის გარეკანი ჩვენი ინსტიტუტის მეცნიერმკვლევარებს დაუთმო.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2010 წელს ბიზნესის მსოფლიო კონფედერაციამ ჩვენი ინსტიტუტი სპეციალური პრიზით დააჯილდოვა და ორგანიზაციის ელიტარულ წევრად აირჩია.

— როგორც ვიცი, ინსტიტუტის რეორგანიზაციისა და მისი გადატანის საკითხი დღეს უკვე გადაწყვეტილია, მაგრამ არცთუ უმტკივნეულოდ და უდანახარჯოდ...

— 2010 წელს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მოხდა ინსტიტუტისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის ჩამორთმევა და თბილისში, ფალიაშვილის 85-ში განლაგებული ინსტიტუტის უძრავი ქონების (თავის დროზე სპეციალურად მისთვის აშენებული და 1968 წელს ექსპლუატაციაში გადაცემული შენობის) იძულებითი პრივატიზაცია აშკარად დემპინგურ ფასებში, რაზეც არაორაზროვნად მეტყველებს დამოუკიდებელი აუდიტის მიერ გაკეთებული შეფასება. აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტში არსებული ლაბორატორიული დანადგარები, სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, არ იყო ტრანსპორტაბელური, რის გამოც ინსტიტუტი საგრძნობლად დაზარალდა. რეორგანიზაციით და მისი გადატანით გამოწვეული მძიმე ფსიქოლოგიური სტრესის შედეგები თანამშრომელთა ჯანმრთელობაზეც აისახა და კოლექტივს მაღალი კვალიფიკაციის 6 წამყვანი თანამშრომელი გამოაკლდა.

სამწუხაროდ, დღემდე ვერ განხორციელდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ინსტიტუტის სსიპ-ად დაფუძნება. ინსტიტუტს დღემდე არ გააჩნია თავისი დებულება, არ დამთავრებულა დირექტორის ოთახის გარემონტებაც კი... სახელმწიფოს მიერ ჯერ კიდევ გაუცემელია 1999-2001 წლებში თანამშრომლების კუთვნილი ხელფასები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თუ არ ვცდებით, ტერიტორია და შესაბამისად შენობაც, სადაც ჩვენს გარდა კიდევ ერთი კვლევითი ინსტიტუტია განთავსებული, ჯერ კიდევ არ წარმოადგენს უნივერსიტეტის საკუთრებას. გადასახედია ინსტიტუტის სამეცნიერო-ტექნიკური პერსონალის ხელფასებიც, რომელიც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს...

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული პრობლემებისა, ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი, დღესედღეობით მაინც რჩება საქართველოში ერთადერთ სპეციალიზებულ დაწესებულებად, რომელიც ორიენტირებულია ქვეყნისათვის აუცილებელი გამოყენებითი გეოლოგიის განვითარების საკითხებზე, მათ შორის, მინერალური რესურსების შესწავლასა და მათი ტექნოლოგიური გადამუშავების პრობლემატიკაზე.

სამეცნიერო სემინარი

22-25 აპრილს თსუ-ის ი.ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში გაიმართა ინსტიტუტის სამეცნიერო სემინარის (ილია ვეკუას სემინარის) XXVIII გაფართოებული სხდომები, რომლებიც შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა გიორგი ჯაიანმა. მონაწილეებს მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, რომელმაც ივანე ჯავახიშვილის მედალი გადასცა ინსტიტუტის ღვაწლმოსილ მეცნიერ თანამშრომელს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს ნური ხომასურიძეს. გახსნაზე მოისმინეს მოხსენება „მაკროეკონომიკური წონასწორობის არასტანდარტული მოდელი“ (მომხსენებელი პროფესორი იური ანანიაშვილი, თანაავტორი აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა), რამაც ხელი შეუწყო ილია ვეკუას სემინარის გაფართოებულ სხდომებზე, რომლებიც მომავალში ჩატარდება, მომიჯნავე მეცნიერებების დარგებიდან მოხსენებების მოსმენის ტრადიციის დამკვიდრების ინიცირებას. ილია ვეკუას სემინარის XXVIII გაფართოებულ სხდომებზე მუშაობდა 10 სექცია (მათემატიკის საფუძვლებისა და მათემატიკური ლოგიკის, გამოყენებითი ლოგიკისა და პროგრამირების, ალგებრისა და გეომეტრიის, ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორიის, კომპლექსური ანალიზისა და მისი გამოყენებების, ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებებისა და ოპტიმალური მართვის, კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებების, ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის, უწყვეტ გარემოთა მექანიკის, მათემატიკური მოდელირებისა და გამოთვლითი მათემატიკის სექციები), რომლებზეც მოისმინეს 95 მოხსენება 127 მეცნიერის თანაავტორობით. მონაწილეთა შორის იყვნენ იტალიელი, თურქი და ბელგიელი მეცნიერებიც, ხოლო თანაავტორებში — მეცნიერები ავსტრიიდან, ესპანეთიდან და რუსეთიდან.

თაობათა ესტაფეტა

შურთხია ბეროშვილი

11 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ მომზადებული კრებულის: „ისტორიული რეპრეზენტაცია: თეორიული მიმართულებანი და კონკრეტული კვლევების“ პრეზენტაცია გაიმართა. კრებულში შესულია აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები.

პრეზენტაციაზე საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელმა პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმა კრებულის შექმნის მიზანზე და ისტორიის თეორიულ პრობლემების დამუშავებისათვის ხელშეწყობის აუცილებლობაზე ისაუბრა: „ამ მიმართულებით საჭიროა ძალისხმევა უკვე სწავლების პროცესშიც დაიწყოს და სწორედ ამის გამო მხარს ვუჭერთ და ყოველნაირად დავეხმარებით ისტორიის თეორიული პრობლემატიკით დაინტერესებულ სტუდენტთა ინიციატივას – თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შეიქმნას სამეცნიერო წრე, რომელიც ფოკუსირებული იქნება ისტორიული მეცნიერების ისტორიის და მეთოდოლიგიის საკითხებზე. უნივერსიტეტის უხუცესი ისტორიკოსის, ღვაწლმოსილი მეცნიერის, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალების კრებულის წარმოდგენა პირველკურსელების მიერ მესახება, როგორც თაობათა ესტაფეტა“, — შენიშნა პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმა.

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ პრეზენტაციაზე ვრცლად ისაუბრა მარიამ ლორთქიფანიძის განსაკუთრებულ წვლილზე, მადლობა გადაუხადა კრებულის სარედაქციო ჯგუფს, და მხარი დაუჭირა ფაკულტეტზე ახალი სტუდენტური წრის შექმნის იდეას.

პრეზენტაციაზე საკუთარი აზრი გამოთქვეს და კრებულის მნიშვნელობაზე ისაუბრეს სტუდენტებმა: ირაკლი ნოდიამ, ნანა მანველიშვილმა და ლერი მდინარაძემ, ასევე, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორმა გონელი არახამიამ, თსუ–ის პროფესორმა გოჩა ჯაფარიძემ და სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორმა ოთარ ჟორდანიამ.

კრებულის პრეზენტაციას ესწრებოდა აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, განსაკუთრებით მარიამ ჩხარტიშვილს, საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზებისა და კონფერენციის მასალების პუბლიკაციის მომზადებისთვის.

მარიამ ლორთქიფანიძის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებულის რედაქტორია პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი. სარედაქციო ჯგუფის წევრები არიან: მანუჩარ გუნცაძე, ნათია დვალი, ქეთევან მანია და სოფიო ქადაგიშვილი. კრებულის სამეცნიერო საბჭოში ქართველი მეცნიერების გარდა გაერთიანებულნი არიან ამერიკის შეერთებული შტატების, ბულგარეთის, იტალიის, პოლონეთის სამეცნიერო ცენტრებში მოღვაწე მეცნიერებიც. წიგნში გამოქვეყნებულია კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები და მათი რეზიუმეები ქართულ და ინგლისურ ენებზე, ასევე, კონფერენციის კულტურული და სოციალური პროგრამების, იუბილარისადმი მილოცვების ამსახველი ინფორმაცია და ფოტომასალა.

INFO ქრონიკა

მემორანდუმი მიგრაციის სფეროში

26 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ეროვნული კონფერენცია: „მიგრაცია და ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი): თანამედროვე სამართლებრივი სტანდარტები“. კონფერენციის ფარგლებში მოხდა ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმება მიგრაციის სფეროში კვლევისა და სტაჟირების საკითხებში თანამშრომლობის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ. მემორანდუმს ხელი მოაწერეს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

მისია 2014 — სტუდენტური კონკურსი მარკეტინგსა და პიარში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური კონკურსი მარკეტინგსა და პიარში — „მისია 2014“ დაიწყო. კონკურსის პრეზენტაციას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა და კომპანია „შპს სანტე-ჯი-ემ-თი პროდუქტები“-ის გენერალური დირექტორის მოადგილე ერეკლე გამყრელიძე დაესწრნენ.

თსუ-ის რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, „ეს კონკურსი უნივერსიტეტისა და კერძო კომპანიების თანამშრომლობის მაგალითია. კონკურსის მიზანია კერძო სექტორისთვის მარკეტინგსა და პიარტექნოლოგიებში სტუდენტური, ახალი იდეების მიწოდება. თავის მხრივ, ეს კონკურსი ჩვენს სტუდენტებს ამ მიმართულებით გარკვეული უნარ-ჩვევების გამომუშავებას შეუწყობს ხელს. საპრიზო ფონდი, რომელიც ჩვენმა ნლევანდელმა პარტნიორმა კომპანია „სანტე-ჯი-ემ-თი პროდუქტებმა“ დააწესა - 5 ათასი ლარი, საკმაოდ სოლიდურია. დარწმუნებული ვარ, წელსაც დიდ დაინტერესებას გამოიჩენენ სტუდენტები, კონკურსი არანაკლებ წარმატებული იქნება და ჩვენი სტუდენტების იდეები „სანტესთვის“ საინტერესო იქნება“.

„ჩვენი კომპანიისთვის ძალიან სასიამოვნოა ამ პროექტში მონაწილეობა. ჩვენ დავინტერესდით და წინა წლებში კონკურსის პარტნიორი კომპანიები ძალიან კმაყოფილი არიან კონკურსის შედეგებით. ბიზნესსექტორისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტების ჩართულობა მარკეტინგისა და პიარის საკითხებში. ვიმედოვნებ, კონკურსი შედეგიანი იქნება ჩვენი კომპანიისთვის და სტუდენტებისთვისაც. ერთი შხედვით მარტივნა პროცესმა, შესაძლოა ბიზნესის სფეროს საკმაოდ საინტერესო და საჭირო კადრები აღმოუჩინოს. დარწმუნებული ვარ, რომ კონკურსის საბოლოო პროდუქტი იქნება ხარისხიანი“, — აღნიშნა კომპანია „შპს სანტე-ჯი-ემ-თი პროდუქტები“-ის გენერალური დირექტორის მოადგილემ ერეკლე გამყრელიძემ.

თსუ-ის სტუდენტური კონკურსი მარკეტინგსა და პიარში — „მისია“ უნივერსიტეტის ყოველწლიური პროექტია, რომელსაც უნივერსიტეტი და წარმატებული ქართული ბრენდი ერთობლივად ახორციელებენ. ყოველწლიურად კონკურსის მონაწილე ბრენდი იცვლება და კონკურსანტები ახალ იდეებს ახალი პარტნიორისთვის ქმნიან. წელს კონკურსის პარტნიორია კომპანია „შპს სანტე-ჯი-ემ-თი პროდუქტები“.

კონკურსის მიზანია სტუდენტების ახალი იდეების განხორციელებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, კონკურსის გამარჯვებული სტუდენტების პარტნიორ კომპანიასთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა და სამომავლო დასაქმების პერსპექტივის ზრდა. კონკურსანტებს საშუალება ეძლევათ გახდნენ კომპანიის მარკეტინგისა და პიარის ვირტუალური მენეჯერები, დაგეგმონ კონკრეტული აქტივობები, გაიმარჯვონ კონკურსში, მოიპოვონ ფულადი პრემია და განახორციელონ თავიანთი იდეები.

კონკურსი ორ ეტაპად ხორციელდება: პირველ ტურში მონაწილეები უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ დავალებას ასრულებენ, ხოლო მეორე ტურში პარტნიორი ბრენდის მარკეტინგისა და პიარის ვირტუალური მენეჯერები ხდებიან და კომპანიის საკომუნიკაციო სტრატეგიაზე მუშაობენ.

კონკურსის საპრიზო ფონდი 5000 ლარს შეადგენს, რომელსაც გამარჯვებულ სამეულს პარტნიორი ბრენდი გადასცემს:

I ადგილი - 2500 ლარი;
II ადგილი - 1500 ლარი;
III ადგილი - 1000 ლარი.

კონკურსი წელს მეოთხედ გამოცხადდა. სამი წლის განმავლობაში სტუდენტურ კონკურსში მონაწილეობა უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის 150 გუნდმა მიიღო. კონკურსის პარტნიორი კომპანიები: „IDS ბორჯომი საქართველო“, „გეოპლანტი“ და „ნატახტარი“ იყვნენ.

კონკურსის პირობების შესახებ ინფორმაციის გაცნობა შესაძლებელია ფეისბუქის გვერდზე www.facebook.com/contestmission.

ინოვაცია საქართველოში

24 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სემინარი თემაზე: ინოვაცია საქართველოში: „გაკვეთილები და რეკომენდაციები მეცნიერებისა და საგანმანათლებლო ლიდერობისათვის“. ღონისძიება გაიმართა უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის, საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრისა და ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მხარდაჭერითა და ორგანიზებით.

სემინარი შეეხო მეცნიერების მიმართ თანამედროვე მიდგომებისა და ტენდენციების გაცნობას, მის მართვასა და როლს ბიზნესში.

კერძოდ განიხილეს იყო შემდეგი თემები:

მეცნიერება ბიზნესისთვის;
მეცნიერების სტრატეგიის განვითარება;
ბიზნეს გეგმების შედგენა;
უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებში ბიზნესის დაწყება და მისი განვითარება (start ups and spin offs);
ტექნოლოგიების გადაცემა და კომერციალიზაცია.

გერმანელმა ქართველოლოგმა საკუთარი პრემია ქართველოლოგიის განვითარებისთვის გაიღო

ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიის პირველმა ლაურეატმა, ცნობილმა ქართველოლოგმა და ენათმეცნიერმა, იენის უნივერსიტეტის (გერმანია) პროფესორმა ჰაინც ფენრიხმა მისთვის განკუთვნილი თანხა 20 ათასი ლარი ქართველოლოგიის მხარდამჭერთა საერთაშორისო ასოციაციის სასარგებლოდ გაიღო.

ქართველოლოგიის განვითარებისთვის საპრემიო თანხის გადარიცხვის შესახებ ჰაინც ფენრიხმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას წერილით აცნობა. წერილში ნათქვამია: „კიდევ ერთხელ მადლობას მოგახსენებთ იმისათვის, რომ თქვენმა უნივერსიტეტმა მომანიჭა ივანე ჯავახიშვილის საერთაშორისო პრემია უცხოელ ქართველოლოგთათვის. ძალიან გთხოვთ თქვენი უნივერსიტეტის კოლეგებსა და თანამშრომლებსაც გადასცეთ ჩემი დიდი მადლობა. თქვენთან კიდევ ერთი დიდი სათხოვარიც მაქვს, ბატონო ვლადიმერ, და ძალიან გთხოვთ, ცუდად არ მიიღოთ და შემისრულოთ. ამ პრემიასთან დაკავშირებული თანხა გთხოვთ გამოიყენოთ თბილისში ქართველოლოგიის განვითარებისათვის. თქვენთან არსებობს ქართველოლოგიის მხარდამჭერთა საერთაშორისო ასოციაცია. გთხოვთ ქართველოლოგიის მომავალში განვითარების მიზნისთვის იხმაროთ ეს თანხა. ეს არის ერთ-ერთი ჩემი გულისნადები. თუ ამ თხოვნას შემისრულებთ, ძალიან დამავალებთ. ვიმედოვნებ, რომ გამიგებთ. თქვენი დახმარებისთვის წინასწარ დიდ მადლობას გიხდით“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ინიციატივით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიის მოსაპოვებლად კონკურსი 2013 წლის 26 დეკემბერს გამოცხადდა. პრემია ქართველოლოგიაში განსაკუთრებული ღვაწლისთვის 2 წელიწადში ერთხელ გაიცემა.

საუნივერსიტეტო საპრემიო კომისიის გადაწყვეტილებით, პირველი სამეცნიერო პრემია 2014 წელს პროფესორ ჰაინც ფენრიხს ქართველოლოგიაში განსაკუთრებული ღვაწლისთვის მიენიჭა. მეცნიერს საერთაშორისო სამეცნიერო პრემიის დიპლომი, ივ. ჯავახიშვილის მედალი და 20 000 ლარის ოდენობით თანხა გადაეცა.

გამარჯვებულ სტუდენტთა დაჯილდოება

24 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისურ-ქართულ ლექსიკოგრაფიაში გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულ სტუდენტთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

კონკურსი თსუ ლექსიკოგრაფიულმა ცენტრმა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებამ გამოაცხადა.

კონკურსის მონაწილე სტუდენტებს დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის რედაქტორებმა ჩაუტარეს ტრეინინგები პრაქტიკულ ლექსიკოგრაფიაში. საკონკურსო დავალება მოიცავდა 5 სიტყვა-სტატიის შედგენას დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონისათვის.

გამარჯვებული სტუდენტები საკონკურსო კომისიამ გამოავლინა.

ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲥᲣᲗᲔᲚᲘᲐᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

გარდაიცვალა პროფესორ-ემერიტუსი ნათელა ქუთელია. იგი, მართალია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის განყოფილების კურსდამთავრებული იყო, მაგრამ საქართველოს ლინგვისტური საზოგადოება მას იცნობდა, როგორც ლაზური ფონოლოგიური სისტემის მკვლევარს. ორივე სამეცნიერო დისერტაცია — საკანდიდატო და სადოქტორო, სწორედ ლაზურის ბგერით სისტემას მიუძღვნა. ლაზურის შესწავლა საბჭოთა პერიოდში არ იყო ადვილი საქმე, რადგან ლაზურად სასაზღვრო რეგიონში მეტყველებდნენ, ხოლო ძირითადი მოსახლეობა თურქეთის ტერიტორიაზეა გავრცელებული, რაც კიდევ უფრო ართულებდა ვითარებას. ფაქტობრივად შეუძლებელი იყო საველე სამუშაოები, ლაზურზე მეტყველის მოძიება და მის ენობრივ ქცევაზე დაკვირვება საშიშიც იყო. სწორედ ასეთ ვითარებაში მუშაობდა იგი ორივე დისერტაციაზე, რომელიც წარმატებით დაიცვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო ამ საუკუნის დასაწყისში გამოსცა მონოგრაფია „ლაზურის ფონემატური სტრუქტურა“ (თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2005).

პროფ. ნათელა ქუთელია ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი იყო როგორც სამშობლოს მოყვარული ადამიანი. ვინც 9 აპრილის ტრაგედია გამოიარა, მას არასოდეს დაავიწყდება ჩვენს უნივერსიტეტში მოსულ კრემლის ემისართან შეხვედრა, როცა ქალბატონმა ნათელამ დაურიდებლად ამხილა საბჭოთა დამსჯელი მანქანა და ქართული საზოგადოების სიყვარული დაიმსახურა. არავის გაჰკვირვებია, რომ პროფ. ნათელა ქუთელია პირველი, დემოკრატიულად არჩეული საქართველოს მრავალპარტიული უზენაესი საბჭოს წევრი გახდა და მან სხვა დეპუტატებთან ერთად ხელმოწერით დაადასტურა 1990 წლის საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია.

ვისაც კი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ენათმეცნიერების შესავლის კურსი მოუსმენია, არასოდეს დაავიწყდება საინტერესოდ მოსაუბრე, ფართო ჰორიზონტის ლექტორი, სტუდენტების ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, მათი დამრიგებელი, ერთგული მეგობარი, გამკენწლავი სიტყვის მთქმელი, შემაგულიანებელი, იმედის მომცემი და ახალგაზრდების მოყვარული ნათელა ქუთელია. იგი მისი საყვარელი მასწავლებლის, აკად. გიორგი ახვლედიანის ხელმძღვანელობით ასპირანტურის გავლის შემდეგ, 1958 წლიდან კითხულობდა ლექციებს. სწორედ გიორგი ახვლდიანისაგან იმემკვიდრა სტუდენტების სიყვარული და ყველას უამბობდა ამ საოცარ ადამიანზე. შეიძლება ზოგმა სტუდენტმა ენათმეცნიერება ვერ დააგემოვნა, მაგრამ დღემდე მოჰყვება ნათელა ქუთელიას ლექციების ეშხი და მის მიერ სტუდენტებისთვის ლამის ლეგენდარულ ადამიანად დახატული, აკად. გიორგი ახვლედიანზე შეყვარებული ლექტორის მადლი. მის სიტყვას ბევრ სტუდენტზე უმოქმედია და სამუდამოდ დამახსოვრებია როგორც კეთილისმსურველი. ამიტომაც სტუდენტობასთან ერთად არ ასრულებდნენ ახალგაზრდები ქალბატონ ნათელასთან ურთიერთობას; ხშირად აკითხავდნენ მას უნივერსიტეტში თუ სახლში და ესაუბრებოდნენ ნაფიქრსა და განცდილზე. იცოდნენ, რომ მათ უსმენდა მზრუნველი გული.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ — ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲥᲣᲗᲔᲚᲘᲐ

კავკასიის პირველი უნივერსიტეტი 2014 წლის 22 აპრილს გამოეთხოვა ქართველი ერის ღირსეულ შვილს, მშვენიერ ქალბატონს, პროფესორ ნათელა ქუთელიას, რომლის საქმიანი და ხმაურიანი მიწიერი ცხოვრების დღეები მარადიულ დღეებს დაუმკვიდრებს ღვთის შვილს. უნივერსიტეტი მისთვის იყო თეთრი ტაძარი და ამ ტაძრის იქით არც წასულა მთელი ცხოვრების მანძილზე; სიმბოლურია, რომ სწორედ უნივერსიტეტის ეზოდან, ტაძრიდან გავაცილეთ მარადიულ გზაზე ყველასათვის რჩეული პროფესორი ნათელა ქუთელია.

ბიოგრაფიის მშრალი ციფრები ვერასოდეს დაიტევს იმ დიდ სიყვარულსა და განცდას, რომელიც ქალბატონმა ნათელა ქუთელიამ თავისი ცხოვრებითა და საქმიანობით მიანიჭა ათასობით ადამიანს, ქვეყანას. მისი ბიოგრაფია ტყუპისცალივით იმეორებს საქართველოს XX საუკუნის ისტორიას, ქარტეხილებითა და წინაღობებით აღსავსეს. საბჭოთა საქართველოს რეალობაში გულის ცეცხლით ატარა ქვეყნისა და აზრის თავისუფლების იდეა, აღზარდა ამ იდეისათვის მებრძოლი და საბოლოოდ შეწირული თაობა. ამიტომაც პროფესორი ნათელა ქუთელია საზოგადო მოღვაწეა, დიდი ილიას გზის უცდომელი მემკვიდრე.

ქალბატონი ნათელა ქუთელია დაიბადა სუაშაში (რუსულად სოჩი) 1928 წლის 18 აგვისტოს სამსონ ქუთელიასა და სოფიო ცხადაიას ოჯახში. 30-იანი წლების დასაწყისში იქ არსებული პოლიტიკური ვითარების გამო (ავიწროებდნენ ქართველებს და იძულებული იყვნენ მასიურად გადმოსახლებულიყვნენ) ოჯახი დასახლდა გორში. დაამთავრა გორის მე-3 ქალთა საშუალო სკოლა (ყოფილი ქალთა გიმნაზია) 1946 წელს. იმავე წელს სწავლა განაგრძო უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპის ფაკულტეტზე ინგლისური ენის სპეციალობით. 1954- 56 წლებში სწავლობდა ასპირანტურაში ზოგადი ენათმეცნიერების სპეციალობით; მისი ხელმძღვანელი იყო პროფესორი სერგი ჟღენტი. 1954 წლიდან დღემდე, 60 წლის მანძილზე კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზოგადი ენათმეცნიერების მიმართულებით. 1955 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ჰარმონიულ ხშულთა ორი სისტემა ქართულ ენაში /ექსპერიმენტული გამოკვლევა/“. 1986 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: ლაზურის ფონემატური სტრუქტურა /სეგმენტური ფონემები და ფონემათა ჯგუფები: პარადიგმატიკა და სინტაგმატიკა/. არის ორი მონოგრაფიისა და სამი წიგნის, მრავალი სტატიის ავტორი. პროფესორი ნათელა ქუთელია უძღვებოდა სალექციო კურსებს: ენათმეცნიერების შესავალი (BA), ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების თეორიული კურსი (BA), ზოგადი ფონეტიკა — ფონოლოგია (MA), ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა (MA), ფონოტაქტიკა და დიაქრონული ცვლილებები (MA), კოლხურის (ზანურის) ფონემატური სტრუქტურა (MA), ინდოევროპულ ენათა შესწავლის საფუძვლები (BA).

პროფესორი ნათელა ქუთელია იყო პირველი მრავალპარტიული უზენაესი საბჭოს წევრი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ სიით. ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს 1991 წლის 9 აპრილს. სახელმწიფო გადატრიალების შემდგომ იყო ერთხანს დევნაში, როგორც უზენაესი საბჭოს წევრი და პირველი პრეზიდენტის მასწავლებელი. 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ პროფესორთა შორის იყო ერთადერთი, ვინც ამხილა რუსეთის აგრესია შევარდნაძესა და რაზუმოვსკისთან შეხვედრაზე უნივერსიტეტში, რაც მაშინ გმირობის ტოლფასი იყო. საერთოდაც, გმირული სული ჰქონდა მას და გადამდები სენივით „ავადდებოდა“ მის გვერდით მყოფი ადამიანი ქვეყნის სიყვარულით. ქალბატონი ნათელა სწორედ მაშინ გაიცნო მთელმა საქართველომ, როგორც საზოგადო მოღვაწე. იგი მიიჩნევდა, რომ, მას ორი მოძღვარი ჰყავდა: გიორგი ახვლედიანი და ალი თანდილავა, რომელსაც ის ალი ეფენდით მოიხსენიებდა. მას განსაკუთრებით უყვარდა ლაზები, რომელთა ენის სისტემა-სტრუქტურისა და ეთნოკულტურის შესწავლას შეალია მთელი ცხოვრება. 1969 წელს იგი პირველად ჩავიდა ლაზეთში და მას შემდგომ ერთი წელიც კი არ ჩაუგდია, რომ არ ჩასულიყო და უშუალოდ ადგილზე არ ემუშავა ენის ემპირიულ მასალაზე. ტკივილამდე განიცდიდა ლაზების ისტორიულ ბედისწერას. მისი პროფესიული არჩევანიც კი გმირობა და მამულიშვილობა იყო.

პროფესორ ნათელა ქუთელიას ბიოგრაფიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პედაგოგიური მოღვაწეობა, რომელსაც მან ექვსი ათეული წელი შეალია. იგი იყო განუმეორებელი ლექტორი. სტუდენტები დიდი ინტერესით მოელოდნენ ყველა მის ლექციას. პროფესორ ნათელა ქუთელიას ჰყავდა „რჩეულები“; რჩეულობის მთავარი საზომი იყო სტუდენტის განსაკუთრებული ნიჭიერება, საქმისა და ქვეყნისადმი ერთგულება, პატიოსნება, პრინციპულობა. ასეთი რჩეულებისათვის პროფესორი ქუთელია აკეთებდა მაქსიმუმს, რათა დაეკვალიანებინა და გზაზე დაეყენებინა ახალგაზრდა. ამიტომაც გაჰყვა სტუდენტების, უკვე კოლეგებისა და სხვათა ზღვა ცრემლი. ქალბატონმა ნათელამ ბევრი რამ შეცვალა ათასობით ადამიანის ცხოვრებაში, აჩვენა მათ მაგალითი სამშობლოსა და საქმის ერთგულებისა, განუმეორებელი პროფესიონალიზმით აზიარა სტუდენტები ენის ამოუცნობ საიდუმლოს, ასწავლა მათ, რომ ცოდნა სიკეთის გარეშე ბოროტებაა, სიკეთე ცოდნის გარეშე — უძლური. ის ყველა კოლეგისა და სტუდენტის მეგობარი იყო. მისი გული იტევდა სრულიად საქართველოსა და კავკასიას. იგი წლების მანძილზე უძღვებოდა სალექციო კურსებს კავკასიოლოგიის რუსულ სექტორზე კავკასიელ სტუდენტებთან. მათ აზიარებდა ცოდნასა და, რაც მთავარია, თავისუფლების იდეასთან. ქალბატონი ნათელა ქუთელიას მთავარი ღირებულება სწორედ თავისუფლება იყო. ჩვენი ერის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტს ამშვენებს კიდეც მისი ხელწერა. მან საკუთარი ხელწერა დატოვა ყველგან: მეცნიერებაში, პირად ცხოვრებაში, ქვეყნისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიაში, კავკასიის ქვეყნების წარმომადგენელ მეცნიერთა, სტუდენტთა და კოლეგების მეხსიერებაში. იგი სიცოცხლის ბოლომდე იყო ინიციატორი, ენერგიული, პრინციპული, შეურიგებელი და დაუმარცხებელი ოპონენტი სამეცნიერო თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში, დაუშრეტელი იყო მისი სასიცოცხლო ენერგიის წყარო; მისი პროფესიონალიზმი, არისტოკრატიზმი, არტისტიზმი და კრიტიკული აზროვნების მანერა ყველასაგან გამოარჩევდა და ქმნიდა განუმეორებელ შთაბეჭდილებას; პროფესორი ნათელა ქუთელია გვასწავლიდა, რომ ჩვენისთანა პატარა ქვეყნის ხსნა მხოლოდ ერთგულებასა და ცოდნაშია.

„ნანინას“ (ასე ეძახდნენ ქალბატონ ნათელა ქუთელიას უახლოესი ადამიანები) მთავარი თვისება იყო საჩუქრების გაცემა და, საზოგადოდ, გაცემა. ამიტომაც იგი უანგაროდ გასცემდა ყოველივე სიკეთეს: ცოდნას, სითბოსა და სიყვარულს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმის შესახებ, რომ ყოველ მის ახლობელს მისგან აქვს ძვირფასი სახსოვარი.

ქალბატონ ნათელა ქუთელიას, განსხვავებით მისი თაობის ბევრი წარმომადგენლისაგან, არ ეშინოდა სიახლის, მათ შორის, რადიკალური და მკვეთრი ცვლილებებისა. თვლიდა, რომ საბჭოთა მენტალობის მსხვრევა თავისუფალ საქართველოში ინტელიგენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა და ამის გარეშე შეუძლებელი იქნება ქვეყნის წინსვლა. არ მეგულება სხვა მაგალითი პროფესორთა შორის, რომელსაც არ ჰქონდეს პოლიტიკური მოვალეობანი და ამდენი გაეკეთებინოს ახალგაზრდობის პოლიტიკური და მოქალაქეობრივი აღზრდის საქმეში. მხოლოდ ამ გზით მიაჩნდა შესაძლებლად სამოქალაქო საზოგადოების აშენება ქვეყანაში. ყველაზე დიდ იმედს ახალგაზრდობაზე ამყარებდა; ყოველთვის ფრთხილობდა ქვეყანაში მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ. მისი ცხოვრების მთავარი არსი იყო ახალგაზრდა თაობა ქვეყნის სამსახურში. ქალბატონი ნათელას მიწიერი ცხოვრებიდან წასვლით უნივერსიტეტში ეპოქა დასრულდა დიდი.

პროფესორმა ნათელა ქუთელიამ მოიმკო მიწიერი ცხოვრების სამკალი — სიყვარული უფლისა, რომელსაც ვერაფრით შეისყიდი, თუ არა ისევ სიყვარულით, სიყვარული კი მან უხვად დათესა. ჩვენი სალექციო ცხრილიდან წაიშალა პროფესორ ნათელა ქუთელიას გვარი, მაგრამ ჩვენი მეხსიერებიდან არასოდეს წაიშლება პროფესიონალიზმისა და ადამიანობის მეტრის — პროფესორ ნათელა ქუთელიას ხსოვნა. მიწიერმა მამამ ორმოცდაათი წლის განშორების შემდეგ გულში ჩაიკრა ღვიძლი შვილი, ხოლო ზეციური მამა ნათლით გაუხსნის მარადიული სავანის კარს.

***პროფესორი* ᲪᲘᲠᲐ ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲔ**

ივანე ჯავახიშვილის მედალი უკრაინისტიკაში შეტანილი წვლილისთვის

უკრაინული ლიტერატურის შესწავლისა და საქართველოში უკრაინისტიკის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის აკადემიკოს ოთარ ბაქანიძეს 17 მარტს უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი მიანიჭა.

უკრაინული ლიტერატურის ისტორია უნივერსიტეტში 1940 წლიდან იკითხება. ოთარ ბაქანიძე, რომელიც ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე სწავლობდა, უკრაინისტიკაში მოღვაწეობას არ აპირებდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი საკანდიდატო დისერტაციის თემა იყო „უსპენსკი და ქართული საზოგადოება“. უკრაინული ლიტერატურის ისტორიაში ლექციების წაკითხვის დაწყებას იგი ბედს უკავშირებს, რასაც წლების გადმოსახედიდან მეტად ემადლიერება. თუმცა მისი აკადემიური კარიერა ბევრ რთულ პერიოდსაც მოიცავს და უსამართლობის განცდებსაც აღძრავს. როგორც ტროცკისტის შვილს — ოთარ ბაქანიძეს ბერიასთან მამამისის მეგობრობა ძვირად დაუჯინეს. დახვრეტილი მამის ტრაგიკული ისტორია მას პოლიტიკურად არასაიმედო ელემენტის იარლიყს აწებებდა სუკ-ის წარმომადგენლების მეშვეობით, რომელთა დამსახურებითაც ოთარ ბაქანიძე ასპირანტურაშიც კი არ მიიღეს. რექტორ ნიკო კეცხოველის მხრიდან მის სასარგებლოდ დაწერილმა რეკომენდაციებმაც კი ვერ გაჭრა. ასე რომ, მიმართულების შეცვლას და შემდგომ წარმატებებს უკვე უკრაინისტიკის სფეროში ოთარ ბაქანიძე მოულოდნელ იღბლიანობას უკავშირებს.

1964 წელს პირველი გაცვლითი პროგრამა განხორციელდა კიევისა და თბილისის უნივერსიტეტებს შორის. დაიწყო საინტერესო ღონისძიებები, ეწყობოდა დეკადები უკრაინული ლიტერატურისა საქართველოში და შემდგომ ქართული ლიტერატურისა უკრაინაში. სწორედ ამ ურთიერთობების შედეგად, 1969 წელს ოთარ ბაქანიძეს გაუჩნდა იდეა — საქართველოში შექმნილიყო კლუბი — „უკრაინა“, რომელიც ქართულ-უკრაინული ურთიერთკავშირების თემას გაამდიდრებდა. კლუბის ძირითადი მიზანი იყო უკრაინული ლიტერატურის შესწავლა და პროპაგანდა, თარგმნა და ამ სფეროში კადრების აღზრდა. 1975 წელს უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კათედრის შექმნის საკითხიც დადგა. თავდაპირველად მას ერქვა ხალხთა ლიტერატურის, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრა, მაგრამ ძირითადად უკრაინული ლიტერატურა იკითხებოდა.

2006 წლიდან განათლებასა და მეცნიერებაში გატარებული რეფორმების შედეგად კათედრა დაიხურა და დარჩა მხოლოდ ხალხთა ლიტერატურის, ლიტერატურული ურთიერთობებისა და თარგმანის მიმართულება. შემდეგ კი სააკაშვილის ხელისუფლების უკრაინასთან დიდმა დამეგობრებამ უკრაინისტიკის ინსტიტუტის შექმნის საჭიროებაც კი მოიტანა.

ოთარ ბაქანიძე უკრაინისტიკის ინსტიტუტს 2007 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს. სწორედ მისი დამსახურებაა საქართველოში უკრაინული ენისა და ლიტერატურის შესწავლის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. ქართულ-უკრაინულ ურთიერთობებს ეძღვნება მის მიერ გამოცემული თუ ნათარგმნი არაერთი წიგნიც. უკრაინაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო უკრაინისტიკის ინსტიტუტი დღეს კიდევ უფრო მეტად ავლენს თანადგომას უკრაინელი ხალხისადმი.

ოთარ ბაქანიძეს არა მხოლოდ ინსტიტუტში, არამედ საკუთარ სახლშიც აქვს შექმნილი ,,პატარა უკრაინა", რომლისგანაც საზრდოს აძლევს თავის ერს და ეფოფინება ყველა იმ სახსოვარს, რაც კი უკრაინას აგონებს.

მოამზადა
ნინო კაკულიამ

ოთარ ბაქანიძე:
„რატომღაც უკრაინის მაშინდელ ხელისუფლებას, კონკრეტულად კი იუშენკოს დაჟინებით მოესურვა, რომ უნივერსიტეტში გახსნილიყო უკრაინისტიკის ინსტიტუტი, რაც მან ტარას შევჩენკოს ძეგლის გახსნის დღეს გაახმოვანა, როდესაც იუშენკო სააკაშვილთან ერთად იყო ძეგლის გახსნის ცერემონიალზე მოსული. საბოლოო გადაწყვეტილება მცხეთაში მიიღეს, მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტის გახსნას, ჩემი აზრით, ბევრი რამის აწონ-დაწონა სჭირდებოდა. იმ დღესვე დამხვდა ხუბუა ბრძანებით ხელში და ასე შეიქმნა უკრაინისტიკის ინსტიტუტი".

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედკოლეგიის წევრები:	მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. 11° (თსუ-ის მე-3 კორპუსი)
მთავარი სპეციალისტი	მაია ტორაძე	რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, დიანა ძიძიგური, არსენ გვენეტაძე, პაატა ტურავა	tsunewspaper@tsu.ge
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე		2 22 36 62
ფოტოკორესპონდენტი	ანა ბოლქვაძე		
კომპ. უზრუნველყოფა	ზაზა გულაშვილი		